ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№69 (1507) 19–23 დეკემბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციხე და წისქვილი ფიქრისთვის გააჩინა ღმერთმა!

**ლოთი ქობალია:**
**ქიშმარიას შევხვდი ჩემს სახლში გამსახურდიასთან და აბსანძესთან ერთად...**

მესამე გვერდი



**შევარდნაძე იტყვის, კიტოვანიც იტყვის... არ ყოფილა ადვილი დატყვევება სიტყვის...**

მეორე გვერდი



ნოდარ გრიგალაშვილი:
**კულტურის მინისტრის მოადგილე ამაშუკელის მორიგი „მარგალიტები“**

მესამე გვერდი

**ასლან აბაშიძეს ისევ ელანდება მგელი...**

მეხუთე გვერდი

*XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის*

გალაკტიონ ტაბიძე

მეხუთე გვერდი

**„იელოვას“ სახელით შემოსეულ „მისიონერთა“ გამო**

მეექვსე გვერდი

მომდევნო ნომერში

**19 მწარე შეკითხვა ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს**

# შევარდნაძე იტყვის, კიტოვანიც იტყვის... არ ყოფილა ადვილი დატყვევება სიტყვის...

მართალია, არსით ტრაგიკულია შევარდნაძისა და კიტოვანის, ამ ორი ყოფილი თანამებრძოლის ამჟამინდელი ურთიერთობა, მაგრამ ფორმით იგი უკვე, ცოტა არ იყოს, კომიკურ ელფერსაც იძენს.

კაცმა რომ თქვას, კიტოვანი ძველზე კი, მაგრამ ახალ ამბებზე დასაჯერი სრულიადაც არ გახლდათ.

თუ აფხაზეთში მიდიოდა საომრად, ამისათვის არ უნდა დაეჭირათ. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ნაბიჯი არ აწყობდა საქართველოს, მისი გზიდან გამობრუნებაც იკმარებდა, ხოლო თუ სამოქალაქო ომის ხელმეორე ატეხვა სურდა და ამას ფიქრობდა, ამ ფიქრის დამტკიცება ძე ხორციელს არ შეეძლო, რადგან კიტოვანი რას ფიქრობს, ამის გაგებაც ძნელია და, ბუნებრივია, დამტკიცებაც...



ასე რომ, ფიქრისთვის კაცის დაჭერაც უცნაური ამბავი ჩანს...

ერთადერთი, რაც რეალურია, ის გახლდათ, რომ კიტოვანი დაუმორჩილებლობის გამო, ზედმეტ პერსონად იქცა მმართველი გუნდისათვის და მისი განეიტრალება ციხით მოახდინეს.

მაგრამ პარლამენტის ტრიბუნა ციხის ტრიბუნამ შეცვალა. პარლამენტში არ ამოუღია ხმა იმდენჯერ ბატონ თენგიზს, რამდენჯერაც „ციხის ტრიბუნიდან" საუბრობს. არადა, ის კაცი სწორედ იმიტომ დაიჭირეს, შენი ხმა არ გავიგონოთ მეტიო. იქ კიტოვანს სხვადასხვა საქმეები ჰქონდა და ვერ იცლიდა, იქ კი ერთადერთი საქმე აქვს - როგორც კი შევარდნაძე თავის აზრს გამოსთქვამს, კიტოვანი კომენტარს უკეთებს.

მოდი და ნუ ისიამოვნებ ამ კომენტარებით... ამჯერად მისი კომენტარი ეხება პრეზიდენტის ერთ-ერთ გამოსვლას.

ძალიან საინტერესო გამოსვლა ჰქონდა ბ-ნ შევარდნაძეს რუსეთის ტელევიზიით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევარდნაძემ თავისი ევროპული კონსტიტუციის კონცეფცია წარმოადგინა საერთო კონსტიტუციის პროგრამით. ეს იყო ალბათ დემაგოგიის უმაღლესი მწვერვალი: როგორ კარნახობს შევარდნაძე რუსეთს და ევროპას ერთ კონსტიტუციას ან ერთ სახელმწიფო მოწყობილობას, ეს ძალიან საინტერესოა. მე გამახსენდა მე-15 საუკუნის ერთი ფილოსოფოსი ტომაზო კამპანელა, რომელიც ცნობილია თავის ნაწარმოებით „მზის ქალაქი"-თ. ეს ალბათ ერთადერთი ნაწარმოებია უტოპიური სოციალიზმის, სადაც ტომაზო კამპანელა აერთიანებს ყველა მოქალაქეს ერთ ჭერქვეშ, ერთნაირი საჭმლით, ერთნაირი ჩასაცმელით, ყველა მხიარული სახით. როცა ტომაზო ამ ლექციას კითხულობდა თავის „მზის ქალაქის" გარშემო, მას ყურადღებით უსმენდა გალილეო გალილეი. როცა ტომაზომ აღფრთოვანებულმა დაამთავრა თავის ნაწარმოების კითხვა, გალილეომ კითხა: ტომაზო, „ლამაზი ქალების საქმე როგორ იქნება შენს „მზის ქალაქშიო". ამით მან მიანიშნა, რომ ლამაზი ქალის გულისთვის უეჭველ მზის ქალაქში მოხდებოდა განხეთქილება. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ბატონი ედუარდი ევროპის კონსტიტუციის მიღების შემდეგ რომელ ქალაქს აპირებს დედაქალაქად გამოცხადებას, ან საქართველო რა ბაგაჟით შედის ამ საერთო კონსტიტუციაში.

ჩემის აზრით შევარდნაძეში გაიღვიძა კომუნისტურმა ნოსტალგიამ, ან იმ ნოსტალგიამ, როცა საქართველოში ჩამოაყალიბეს, კერძოდ ქედაში „კომუნა" და ასობით ჩვენს გლეხს ჩაახარებინეს ქონება და გაძარცვეს კომუნარებმა. აქ საინტერესო ისიც არის, რომ სიყვარულის გულისთვის კომუნარი ისჯებოდა სიკვდილით.

მე მგონი ედუარდის აზრი ეს იყო, როცა რუსეთს და ევროპას შესთავაზა თავისი კონსტიტუცია.

თ.კიტოვანი

## თუკი თავდაცვის მინისტრს ეშინია...

მინისტრის დანახვაზე დარბაზი მიხვდა, რომ მონატრებული იყო შეხვედრას, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში შედგა. ასერიგად სასურველი კი თვით თავდაცვის მინისტრი, ვარდიკო ნადიბაიძე გახლდათ. მან მორცხვი ღიმილით მარტივად ახსნა ამ მონატრების მიზეზი, „я вас побаивался"-ო. შეუფერებლად ჩამრგვალებულ გენერლებთან სალამქალამის შემდეგ ჩვენც (პრესა) და ისინიც (ვარდიკო ნადიბაიძე და თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრები და სხვანი) მუშაობას შევუდექით. ბ-ნი ვარდიკო გულდაგულ ცდილობდა ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ წარმატებები, რომელიც ქართულ არმიას აქვს, „Соседная братская Россия"-ს დიდი დამსახურებაა, რომ ყველაზე დიდი მიზანი, რაც ჩვენს არმიას აქვს დასახული, ეს არის ის, რომ „мы строим армию Советско-Российского типа".

ამ წლის განმავლობაში უამრავი შეხვედრა ჰქონია ბატონ ვარდიკოს ქართველთ წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებთან, როდიონოვსა და გრაჩოვთან. არც დაპირებები და შეთანხმებები დაკლებია ამ შეხვედრებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი თავდაცვის სამინისტრო როგორ არსებობს, გასაოცარია, რადგან პარლამენტი კანონებს არ გამოსცემს მისთვის, თუ გამოსცემს, ისეთს, როგორიცაა გადაწყვეტილება დეზერტირთა ამნისტიის შესახებ. მომავალი ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტროს თითქმის არაფერი შეხვდება, პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველგვარ დეზინფორმაციას ავრცელებენ სამინისტროს მუშაობაზე და თავად მინისტრზე ასეთ ცუდ დღეში ვაგდებთ თურმე ჩვენ ჩვენივე მინისტრსა და სამინისტროს. ამას ისიც დაემატა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მინისტრის იმპიჩმენტიც კი მოითხოვეს. როდესაც ჟურნალისტმა კომენტარი სთხოვა ამის თაობაზე ბ-ნ ვარდიკოს, მინისტრის შეურაცხყოფის გამო (რა იყო აქ შეურაცხმყოფელი?) აღელვებულმა ერთ-ერთმა გენერალმა მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ჟურნალისტის გვარი და გაზეთის სახელწოდება. პასუხი მინისტრისა კი ასეთი იყო: „Президент примит решение, я уйду". პრეზიდენტი რა გადაწყვეტილებას მიიღებს, არავინ იცის, მაგრამ პარლამენტის წევრმა ჯაყელმა კი უკმაყოფილება ვერ დაფარა და საჯაროდ საყვედური უთხრა ნადიბაიძეს: „У Вас нет времени для прессы, нет времени для парламента, а для чего есть у вас время?"

ეს ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული დიალოგი კარგა ხანს გაგრძელდა და თავისთავად დაიბადა კითხვა: საჭიროების შემთხვევაში შეძლებს კი ქართული არმია ქართველთა ინტერესების დაცვას?

ანა ჯულელი

## ჩალაძის მკვლელს სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა, ხოლო ადვოკატ ღარიბაშვილს...

გუშინ, 18 დეკემბერს დასრულდა თბილისის პოლიციის უფროსის მოადგილის კორნელი ჩალაძის მკვლელის გოგიჩაიშვილის სასამართლო პროცესი.

ბრალდებულს მოსამართლე ავთანდილ წულუკიანმა გამოუტანა განაჩენი სიკვდილით დასჯა, ხოლო განსასჯელის ადვოკატის ქართლოს ღარიბაშვილის კერძო ფირმის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება ფირმის გაუქმების თაობაზე.

ამ საკითხის გადაწყვეტისას საბოლოო სიტყვა იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის.

მოსამართლის ეს გადაწყვეტილება ქ.ღარიბაშვილის ფირმის მიმართ გამოიწვია იმან, რომ ქ.ღარიბაშვილმა სასამართლო პროცესი ხელოვნურად გააჭიანურა 2 თვეზე მეტ ხანს.

რამდენადაც ქ.ღარიბაშვილი არ ემორჩილებოდა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, როგორც კერძო ფირმის მფლობელი, ამდენად მოსამართლემ სწორედ მისი ფირმის წინააღმდეგ გაილაშქრა.

## „საქართველოს ხელისუფლებამ ისლა შეძლო, რომ უხერხულად ამოიოხრა"

— განაცხადა 18 დეკემბერს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ირაკლი წერეთელმა. წაკითხულ იქნა საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტის განცხადება, სადაც გამოიხატა უარყოფითი დამოკიდებულება გენადი სელეზნიოვის პარლამენტში გამოსვლისადმი. აღინიშნა, რომ ეს იყო კიდევ ერთი დამტკიცება ველიკორუსული შოვინიზმისა. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატმა" მიიღო, რომელმაც პროტესტის ნიშნად სელეზნიოვის გამოსვლის დროს დარბაზი დატოვა. „ჩვენი ხელისუფლება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ატარებს რუსეთის პოლიტიკურ ხაზს" - ნათქვამი იყო განცხადებაში.

მეორე საკითხი, რომელსაც პრესკონფერენციის ჩამტარებლები შეეხნენ, იყო ის არასასიამოვნო ფაქტი, რომელიც ფოთში მოხდა. რუსეთის წარმომადგენელმა დააკავა უკრაინის გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. აღინიშნა, რომ „ეს იყო ბოროტი და თავხედური შელახვა საქართველოს სუვერენიტეტისა". ამ ფაქტზე საქართველოს მთავრობამ მხოლოდ „ისლა შეძლო, რომ უხერხულად ამოიოხრა" - ბრძანა ი.წერეთელმა.

24 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე უნდა იქნას განხილული აფხაზეთის საკითხი, სადაც ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი" დასვამს საკითხს აფხაზეთიდან ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ჯარის გაყვანის შესახებ. საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტი პარლამენტზე ზეწოლის მიზნით ჩაატარებს მშვიდობიან მანიფესტაციას.

ანა ჯულელი

## ნავთობსადენის ახალი ვერსია

სააგენტოს კორესპონდენტი ჩეჩნეთიდან კარგად ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ჩეჩნეთის ხელმძღვანელობის მიერ, უკრაინისა და პოლონეთის მონაწილეობით მუშავდება ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის პროექტი - ნავთობის საქართველოსა და ჩეჩნეთის გავლით ტრანსპორტირებისათვის. პროექტის ავტორთა აზრით, უკრაინისა და პოლონეთის გავლით, აღნიშნული კონსორციუმის მეშვეობით უნდა აშენდეს ახალი მილსადენი, რომელიც ჩეჩნეთიდან და ფოთის პორტიდან გატარებულ ნავთობს დაუკავშირებს ნავთობსადენ „დრუჟბა"-ს. აღნიშნულმა იდეამ უკვე ჰპოვა მხარდაჭერა პოლონეთისა და უკრაინის პრეზიდენტთა მხრიდან.

იმავე წყაროდან მიღებული ინფორმაციით, მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია ნავთობსადენის მშენებლობა საქართველოსა და თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვისაკენ, რაც აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპასთან შედარებით, ნავთობის უფრო ფართო ბაზარზე გასვლის საშუალებას იძლევა. დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, ასეთი ვარიანტის შემთხვევაში ჩეჩნეთის გავლით გატარებული ნავთობი 20%-ით იაფი ეღირება, ვიდრე რუსეთის მიერ ნოვოროსიისკის გავლით დაგეგმილი მარშრუტი. ინფორმაციის წყარო ასევე აღნიშნავს, რომ გროზნო დიდ იმედებს ამყარებს იმ მილსადენზე, რომელიც ყაზახეთიდან გაყვანილია ჩეჩნეთის რესპუბლიკის საზღვრებამდე და აკავშირებს მას ყაზახეთის ნავთობის საბადოებთან. ამ მილსადენის გაგრძელებით ფოთის პორტამდე, შეიძლება დაიწყოს ნავთობის ტრანსპორტირება უკრაინამდე და შემდგომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ბაზარზე. (იფრინდა)

## აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა წერილობით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინე ოზგანმა წერილით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. წერილში შეშფოთებაა გამოთქმული რუსეთის მხრიდან საქართველოსათვის სამხედრო ტექნიკის შესაძლო გადმოცემების თაობაზე და ნათქვამია, რომ რუსეთმა სამხედრო ტექნიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადასცეს საქართველოს, თუ იქნება მტკიცე გარანტია იმისა, რომ საქართველო აღნიშნულ ტექნიკას აფხაზეთის წინააღმდეგ არ გამოიყენებს. (იბერია)

## კაზაკებმა დაგმეს კაზაკთა მონაწილეობა აფხაზურ კონფლიქტში

სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ ქნოვოჩერკასკში, რომელიც რუსეთის კაზაკთა მოძრაობის ცენტრად ითვლება, ჩატარდა რუსეთის კაზაკთა ე.წ. დიდი წრე (ასე ეწოდება რუსეთის კაზაკთა ყრილობას), რომელშიც მონაწილეობდნენ კაზაკები მთელი რუსეთის ტერიტორიიდან და ახლო საზღვარგარეთიდან. ამ ყრილობაზე კაზაკებმა დაგმეს კაზაკთა მონაწილეობა აფხაზურ კონფლიქტში აფხაზთა მხარეს და უწოდეს პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ერთმორწმუნე ქართველი და რუსი ხალხების ერთმანეთზე გადაკიდებას და მათ შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდებას. მათ აფხაზეთის დღევანდელ რეჟიმს ფაშისტური უწოდეს და მიიღეს განცხადება, რომელშიც დაგმობილია 23 ნოემბრის აფხაზეთის სეპარატისტული არჩევნების ჩატარება. გარდა ამისა, განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ აფხაზეთის მოსახლეობის 70 პროცენტი განდევნილია აფხაზეთის ტერიტორიიდან. (იბერია)

## ახლო საზღვარგარეთის ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მოსკოვში, ე.წ. ახლო საზღვარგარეთის ინსტიტუტის ეგიდით, რომელსაც ხელმძღვანელობს ყოფილი დეპუტატი კონსტანტინე ზატულინი, ჩატარდა კონფერენცია. ამ კონფერენციაში, საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად, მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა. (იბერია)

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ყვითელი ბარათი“

# კულტურის მინისტრის მოადგილე— ამაშუკელის მორიგი „მარგალიტები“

ღირსებისორდენოსანმა ამაშუკელმა ამას წინათ გაზეთ „ბომონდში“ მორიგი „ მარგალიტები“ მიმოაბნია შთამომავლობის აღტაცებაში მოსაყვანად. ჟურნალისტის კითხვაზე - „თქვენი აზრი მწერლების შესახებ?“ „ოფიციანტების პოეტი“ (ეს ფრთიანი გამოთქმა ეკუთვნის ზ.გამსახურდიას) პასუხობს: „დღევანდელი ქართული მწერლობა პირადად ჩემთვის მაქსიმუმ 10 მწერლით შემოიფარგლება. ამას მე წმინდა პროფესიული თვალსაზრისით მოგახსენებთ, ხოლო რაც შეეხება სხვას, ვიტყვი, რომ იმდენი დაუმსახურებელი ტკივილი მაქვს მიღებული ჩვენი „მწერლური ოჯახიდან“, რომ ძალაუნებურად არავითარი სურვილი არა მაქვს მათთან ურთიერთობისა, ვისაც უნდა ეწყინოს“.

ქართველი მწერლები (რომლებთანაც თურმე არავითარი ურთიერთობა არ სურს ამაშუკელს), ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაიტანენ ამ მძიმე და აუნაზღაურებელ დანაკლისს.

ალბათ, არც ისაა იოლი გადასატანი მრავალი შემოქმედისთვის, ამაშუკელის „ათეულში“ რომ ვერ მოხვდება.

მე არ ვიცი, ვინ არიან ის ქუდბედიანი მწერლები, ამაშუკელმა რომ სიტყვის ნამდვილ ოსტატად დაიგულვა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, თუ ვინ არის მათი ალამდარი, მათი მედროშე, ანუ პირველი პოეტი საქართველოში.

უფრო სწორედ, ეს დასტურ სცოდნია თვით ამაშუკელს. ვინ?

ვინ და პირველ საპატიო ადგილს რეზო ამაშუკელი მიაკუთვნებს, არც მეტი, არც ნაკლები, თვით რეზო ამაშუკელს.

აბა, ყური დავუგდოთ მას: „არასოდეს ასეთი რამ არ მითქვამს და ახლა ვამბობ, რადგან დავიღალე ასეთი თავმდაბლობით: ნებისმიერმა ცოცხალმა პოეტმა გამოიტანოს თავისი ათი ლექსი, მე ჩემს ათ ლექსს დავუდებ წინ და – ვაჭიდაოთ მამლები! მე აღარ ვფარავ ამბიციურობას, რადგან კარგად ვიცი ჩემი თავის ფასი“. ესე იგი მან კარგად იცის კიტრის ფასიც...

ძვირფასო მკითხველო, ამას წინათ „საქართველოში“ მე „დავიცავი“ რეზო ამაშუკელი, რომელმაც საკუთარი პერსონის შესახებ განაცხადა – „მე შეიძლება სულელი პოეტი ვარ“-ო.

ვფიქრე, კაცად კაცი შეიძლება, მაგრამ პოეტად სულაც არ არის ამაშუკელი სულელი-მეთქი.

ეტყობა, მეტისმეტი ძალა ჰქონია ჩემს გამხნევებას. ფაქტი სახეზეა, სულელი პოეტიდან ახლა უკვე პირველი პოეტი ჰგონია საკუთარი თავი.

დამილუპავს კაკალი კაცი და ეგ არის, რის დასადასტურებლად მისივე ინტერვიუდან უკეთეს „მარგალიტებს“ გაგაცნობთ მომდევნო ნომერში.

გაგრძელება აუცილებლად იქნება

ნოდარ გრიგალაშვილი

# ლოთი ქობალია: ქიშმარიას შევხვდი ჩემს სახლში გამსახურდიასთან და აბსანძესთან ერთად...



ქიშმარია გავიცანი შემდეგ გარემოებებში: 1993 წლის აპრილის თვეში დაუმორჩილებლობის კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზაურ ქობალია, გადაწყვიტა ჩარეულიყო აფხაზეთის ომის საკითხებში.

დაუმორჩილებლობის კომიტეტის აზრით აფხაზეთის ომში ჩვენი ჩართვის მიზანი იყო სამშვიდობო მისია. ამიტომ მოლაპარაკება უნდა გვეწარმოებინა აფხაზურ მხარესთან, რომლის საფუძველზეც ჩვენი და აფხაზური მხარე ჩამოვაყალიბებდით ერთიან შეიარაღებულ ფორმირებებს და დავიცავდით სოფლებს, ცალკეულ ოჯახებს და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაუმორჩილებლობის კომიტეტის რომელიღაც წევრმა შეადგინა მიმართვის ტექსტი აფხაზი ხალხისადმი. მიმართვას ხელს ვაწერდი მე. ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ „აღდგომაში“. თქვენს მიერ წარმოდგენილი 1993 წლის 26 აპრილის №14 (46) გაზეთი „აღდგომა“ დავათვალიერე. მის პირველ გვერდზე მოთავსებულია „მიმართვა აფხაზი ხალხისადმი“, ჩემი ხელის მოწერით. მიმართვაში ნათლად წერია, რომ აფხაზურ მხარეს ვთავაზობდი შეგვექმნა ერთიანი შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც დაიცავდნენ ცალკეული სოფლების, პიროვნებებისა თუ ოჯახების უსაფრთხოებას. აქვე ჩანს, რომ მე ჩემი შეიარაღებული ძალებით მივდიოდი ოჩამჩირეში ზემოაღნიშნული მისიის შესასრულებლად. ეს მართლაც ასე მოხდა. 1993 წლის 22 აპრილს ოჩამჩირეში წავიყვანე ოთხას სამოცდაათი შეიარაღებული მებრძოლი. შეიარაღება გვქონდა ავტომატური იარაღი, ყუმბართმტყორცნი, 76 მმ ყალიბის ტანკსაწინააღმდეგო „პუშკები“, მძიმე ტექნიკა არა გვქონია.

როგორც მოგახსენებთ, ზემოაღნიშნული სამშვიდობო მისიით ჩემი ოჩამჩირეში ჩასვლა გადაწყვიტა დაუმორჩილებლობის კომიტეტმა, საკითხი შეთანხმებული იყო პრეზიდენტთან. თუ ვინ შეუთანხმა მას ეს საკითხი, არ ვიცი. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი პირადი აზრი იყო მებრძოლა აფხაზეთში სამთავრობო ჯარებთან ერთად. დაუმორჩილებლობის კომიტეტმა ამაზე უარი თქვა და მე დამრჩა უფლება მემოქმედა ისე, როგორც ზემონახსენებ მიმართვაში ნახსენები.

22 აპრილს ჩავედი ოჩამჩირეში. აქ შევხვდი კიტოვანს და ვთხოვე მოეცა პოზიციები. მომცეს პოზიცია და დავიკავეთ სოფ.ოხურეის მიმდებარე ტერიტორია ტყვარჩელის მიმართულებით. დასახული გეგმით, ჩვენ აქ უნდა გაგვემაგრებინა პოზიცია და გვეწარმოებინა შეტევითი ოპერაციები ტყვარჩელის მიმართულებით. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ჩვენ ვიდექით სოფ. ბედიაში. ადგილობრივი მოსახლეობის მეშვეობით, კავშირი დავამყარე ტყვარჩელის მიმართულებით, აფხაზური მხარის ფრონტის უფროსთან ქიშმარიასთან. შეთანხმების თანახმად ჩვენ ერთმანეთს შევხვდით სოფ. აგუბედიაში, ამავე სოფლის მცხოვრების ოჯახში. ქიშმარიას ვუთხარი, ე.ი. მივეცი წინადადება, რომ შეგვეწყვიტა ომი, ერთიანი ძალებით დაგვეცვა მშვიდობიანი მოსახლეობა. ქიშმარიამ მკითხა, მქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლების რწმუნება. ვუპასუხე, რომ რწმუნება არა მქონდა, მაგრამ როდესაც ჩვენ ამ რეგიონში მივაღწევდით ცეცხლის შეწყვეტას და მშვიდობას, ხელისუფლება აუცილებლად დაგვეთანხმებოდა. ქიშმარია ჩემს წინადადებას დაეთანხმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმებოდა საქართველოს ხელისუფლებაც. მე და ქიშმარია შევთანხმდით, რომ ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენებდი საქართველოს ხელისუფლებას და შემდეგ ვაცნობებდი. ამ მოლაპარაკების შესახებ რაიმე დოკუმენტი არ შედგენილა, რადგან მე ვითვლებოდი არაოფიციალურ პირად. ჩვენი შეხვედრა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. დაბრუნებისთანავე, ამის შესახებ ვაცნობე ზაურ უჩაძეს ოჩამჩირის შტაბში. უჩაძემ მითხრა, რომ აფხაზებს ამის შესახებ არაერთხელ მოველაპარაკეთ, მაგრამ მათ ყოველთვის დაარღვიეს მოლაპარაკების პირობები. ამდენად იგივე საკითხებზე მათთან მოლაპარაკება არა ღირსო. ამის შესახებ ქიშმარიასათვის არაფერი მიცნობებია. უჩაძე იყო ფრონტის მეთაური და ამიტომ მოვახსენე ზემოაღნიშნული საკითხი მას.

მეორედ ქიშმარიას შევხვდი 1993 წლის ოქტომბრის დასაწყისში მდ. ენგურის ხიდზე სოფ. რუხისა და სოფ. ჭუბურხინჯის საზღვარზე. შეხვედრის ინიციატორები იყვნენ გალის რაიონის მოსახლეობა. გალის რაიონის მოსახლეობა მთხოვდა, რაღაც ზომები მიმეღო მათი სახლებში დაბრუნებისათვის. გამეცნო პიროვნება, როგორც ზარანდია. იგი ადრე მგონი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. აქვე მოვიდა ქიშმარია. გალის მოსახლეობა ზარანდიასა და ქიშმარიას სთხოვდა უკან დაბრუნებას თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. არწმუნებდნენ, რომ მათ იარალი არ აუღიათ და არ უბრძვიათ აფხაზების წინააღმდეგ. აქვე ითქვა, რომ ბანდიტები არბევდნენ აფხაზეთის მოსაზღვრე ზუგდიდის სოფლებს. ქიშმარიამ გვითხრა, რომ ყველა ზომები მიგვეღო ბანდიტთა ჯგუფების სალიკვიდაციოდ, ვინაიდან ისინი ველარ აკონტროლებდნენ სიტუაციას. აქვე ითქვა, რომ ისინი არძინბას შეუთანხმებდნენ გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნების საკითხს და გამოთქვა აზრი, რომ თუ ლტოლვილებს დააბრუნებდნენ გალში, ჩემი შეიარაღებული ფორმირებებით დამემყარებინა წესრიგი აქ. შევთანხმდით, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ისინი შეგვატყობინებდნენ. ამის შემდეგ გავიდა დრო, მაგრამ არავის არაფერი შეუტყობინებია. მესამედ ქიშმარიას შევხვდი ჩემს სახლში, გამსახურდიასთან და აბსანძესთან ერთად. თუ რა იყო ამ შეხვედრის მიზეზი, მე უკვე მოგახსენეთ. ამის შემდეგ ქიშმარია აღარ მინახავს. გამსახურდია და აბსანძე ვისი მეშვეობით დაუკავშირდა ქიშმარიას, არ ვიცი.

**კითხვა:** 1993 წლის 26 აპრილის №14 (46) გაზეთ „აღდგომის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია სრულიად საქართველოს დაუმორჩილებლობის კომიტეტის საგანგებო დადგენილება, სადაც პირველ პუნქტში წერია: „კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად მებრძოლი არც ერთი შეიარაღებული ნაწილი არ იქნას შეყვანილი კონფლიქტის ზონაში, სანამ არ გაფორმდება აფხაზურ მხარესთან შესაბამისი ხელშეკრულება ზემოაღნიშნული ნაწილის სამშვიდობო მისიით შეყვანის შესახებ“. მეორე პუნქტში აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს დაქვემდებარებული გვარდიისა და მისი ეგიდით გაწვეული რეზერვისტების გადააღგილება და მათი მოქმედება დაემორჩილოს მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებას“. ამავე დადგენილებიდან ჩანს, რომ დაუმორჩილებლობის კომიტეტმა ამ საკითხებზე იმსჯელა 1993 წ. 22 აპრილს თქვენი წინადადების საფუძველზე. უჩვენეთ გამოძიებას, რატომ და ვინ იყო წინააღმდეგი თქვენი შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში შესულიყო საბრძოლველად?

**პასუხი:** თქვენს მიერ წარმოდგენილი გაზეთი „აღდგომა“ დავათვალიერე. წავიკითხე დაუმორჩილებლობის კომიტეტის დასახელებული დადგენილება. ტექსტში ნათლად ჩანს, რომ კომიტეტმა იმსჯელა ჩემს წინადადებებზე აფხაზეთში სამშვიდობო მისიით შევსულიყავი ჩემი შეიარაღებული ფორმირებებით. ფაქტიურად ამ დადგენილების მიღებას წინ უძღვოდა შემდეგი მოვლენები. 1993 წ. 22 აპრილს, სოხუმიდან ზუგდიდში ჩამოვიდა აფხაზეთის ქართული მხარის დეპუტაცია. დაახლოებით 10 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია, მოქალაქე ავთ. დავითაია, ფირცხალავა, მგონი სერგო საჯაია და სხვები. მათ მომთხოვეს, რომ მიგვეღო მონაწილეობა აფხაზეთის ომში, რადგან სამთავრობო ჯარები ვერ აკეთებდნენ იმას, რაც ომისათვის იყო საჭირო, ე.ი. საჭირო იყო ერთიანი საქართველოს ბრძოლა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ. მე ამ რეალობას ნათლად ვგრძნობდი. ვთვლიდი, რომ ჩვენი ომში მონაწილეობა იყო აუცილებელი. დაახლოებით 12 სთ-ზე ზემოაღნიშნული პირები მივიყვანე პრეფექტურის შენობაში, სადაც დაგვხვდნენ დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები: ზ.ქობალია, ვ.გაბელია, მ.ჩუხუა, ზ.გუჩუა, ა.გვარამია, ზ.კვარაცხელია. მე კომიტეტში დავსვი საკითხი კატეგორიულად, რომ წავსულიყავით და მონაწილეობა მიგვეღო აფხაზეთის ომში. ამ სხდომას ესწრებოდა ვ.შურღაია. იგი აქტიურად მიჭერდა მხარს. ამ წინადადების კატეგორიული წინააღმდეგი იყო ზ.ქობალია, ვ.გაბელია, მ.ჩუხუა, ზ.გუჩუა, ა.გვარამია და ზ.კვარაცხელია. მე არ ვეთანხმებოდი რა ამ გადაწყვეტილებას, იქვე პრეზიდენტის სახელზე დავწერე პატაკი გადადგომის შესახებ. ჩემი დაცვის უფროსმა მ.ოკუჯავამ დახია პატაკი და თქვა - შენ რომ გადადგე, ყველაფერი აირევაო. მაშინ კომიტეტის ზემოაღნიშნული შემადგენლობა დათანხმდა ჩემს აფხაზეთში გაგზავნას, მხოლოდ სამშვიდობო მისიით, ისე როგორც აღნიშნულია თქვენს მიერ წარმოდგენილ გაზეთში გამოქვეყნებულ დადგენილებაში. ამავე დადგენილებაში აღნიშნეს, რომ აფხაზეთში სამშვიდობო მისიით შესვლა იყო ჩემი წინადადება. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ კამათი გაგრძელდა დაახლოებით 4 საათს. მე ჩემი შეიარაღებული ფორმირებებით იმავე დღეს, ე.ი. 21 აპრილს საღამოს 17 სთ. წავედი აფხაზეთში. როგორც გავიგე, იმავე დღეს დაუმორჩილებლობის კომიტეტს შეუკრებია ქ.ზუგდიდში არსებული პოლიტიკური პარტიების ლიდერები, განუხილიათ ჩემი აფხაზეთში წასვლის საკითხი და ჩამთვალეს მოღალატედ, რაც ტელევიზიითაც გადაუციათ. მეორე დღეს ჩამოვედი ზუგდიდში. აქ წავაწყდი მიტინგს. მიტინგზე გამოდიოდა ჩუხუა და გამომაცხადა მოღალატედ. ხალხმა დაუკრა ტაში. მიტინგზე გამოვედი საპასუხო სიტყვით, ხალხს ავუხსენი, რომ აფხაზეთში ჩვენი სისხლით ნათესავები არიან მძიმე მდგომარეობაში და ამიტომ წავედი იქ მათ დასაცავად. ხალხს ცრემლები წამოუვიდა ამ სიტყვებზე.

**კითხვა:** 1993 წ. 16 ივნისის №20 (52) გაზეთ „აღდგომაში“ გამოქვეყნებულია თქვენი 1993 წ. 7 ივნისის ინტერვიუ ჟურნალისტ ნ.დავითაიასთან. მისი ერთ-ერთი კითხვა ასეთია: „გუდაუთაში შექმნილმა თავდაცვის სამინისტრომ, 31 მაისს გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი განცხადება თავდაცვის მინისტრ სოსლან ალიევთან თქვენი მოლაპარაკების შესახებ. თქვენი პასუხიდან ჩანს, რომ ნამდვილად გქონდათ საუბარი ს.ალიევთან.

უჩვენეთ გამოძიებას როდის, რა ვითარებაში, ვისი მეშვეობით შეხვდით ს.ალიევს და გარდა გაზეთში გამოქვეყნებული თქვენი პასუხისა, რა საკითხებზე ისაუბრეთ ს.ალიევთან და რა შედეგი გამოიღო ამ საუბარმა?

**პასუხი:** 1993 წ. 31 მაისს და საერთოდ ამ წელს, მე გუდაუთაში არ ვყოფილვარ. სოსლან ალიევს არ ვიცნობ. მასთან არავითარი შეხვედრა არ მქონია. როგორც ადრე აღვნიშნე, გუდაუთაში ვიყავი 1992 წ. ზამთარში. ჩვენ ერთად იყო აგრეთვე ისპილიანი და სხვები. მოლაპარაკება ვაწარმოეთ ოჩამჩირესთან და სხვებთან, ცალკეულ შეკვეთების შესახებ. ჟურნალისტი ვინმე ნ.დავითაია ვინ არის, არ ვიცი. ასეთი პიროვნებისთვის მიმიცია თუ არა ინტერვიუ, არ მახსოვს.

ჩვენება წავიკითხე, ჩაწერილია ჩემი ნაკრებით სწორად. იგი სწორია და ვაწერ ხელს

ვ. ქობალია

## ასლან აბაშიძეს ისევ ელანდება მგელი...

17 დეკემბერს ბათუმის ქუჩებში ჯავშანტექნიკისა და მოპატრულე სამხედროების გამოჩენამ როგორც აჭარის, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების საზოგადოებრიობის შეშფოთება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეს-სამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც უარყოფილია საქართველოს საინფორმაციო საშუალებების მიერ გადაცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ბათუმში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, დაკეტილია აჭარის ადმინისტრაციული საზღვრები და რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით შეყვანილია დიდი რაოდენობის ჯავშანტექნიკა.

უმაღლესი საბჭოს პრეს-სამსახური აცხადებს, რომ ამ ბოლო დროს აჭარის ა/რ მიმდებარე ტერიტორიაზე კვლავ დაიწყეს მოძრაობა საქართველოს შსს-ს თანამშრომელთა ფორმაში და ნიღბებით გამოწყობილმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს მსუბუქ ავტომანქანებს, სამარშრუტო ავტობუსებს. არის მოქალაქეთა ძარცვისა და შეურაცხყოფის ფაქტები. განცხადების ტექსტის მიხედვით, ყოველივე ზემოთაღნიშნული გამოხმაურებაა თავისუფალი გაზეთების მიერ აჭარაზე თავსმოხვეული მიზანმიმართული ჭორებისა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებულია გაატაროს შესაბამისი ზომები აჭარის ადმინისტრაციული საზღვრების კონტროლის გაძლიერების მიზნით. კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარეობს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების გეგმიური სწავლება ა/რ-ს სხვა სამართალდამცავი ორგანოების ქვედანაყოფებთან ერთად.

განცხადების ავტორთა თქმით, ყოველივე ეს კეთდება პროფილაქტიკისა და რეგიონში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, რათა არ მოხდეს აჭარის ტერიტორიაზე შეიარაღებული დაჯგუფებების შემოჭრა, რაც განცხადების მიხედვით, თბილისიდან იმართება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა.აბაშიძემ აჭარის ტელევიზიით 17 დეკემბერს გააკეთა კომენტარი და განაცხადა – „ბათუმი სასაზღვრო ქალაქია, აქ ბევრი სამხედრო ნაწილია, ხდება მათი გეგმიური გადაადგილება მცირე მასშტაბებით. ეს ხდება არა მარტო რუსეთის ჯარში, არამედ ჩვენს ნაწილებშიც. მიმდინარეობს სამხედრო ნაწილების წვრთნა. აჭარაში არ არის არავითარი პრობლემა და არავითარი ნიადაგი, რომ არეულობა იყოს. ცხადია, თუ მას სადმე, ან ვინმე არ გეგმავს. აჭარის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ეს არ მოხდეს".

## ვ.არძინბა შეშფოთებულია

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის მოსკოვში საქართველოს საელჩოს კარგად ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვარძინბამ წერილი გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს ე.პრიმაკოვს და თავდაცვის მინისტრის ი.როდიონოვს, სადაც იგი შეშფოთებას გამოთქვამს სოხუმში მიღებული ინფორმაციის თაობაზე, რომელიც დსთ-ს სამშვიდობო ძალების შტაბის სოხუმიდან აფხაზეთის საზღვრებს გარეთ გატანას გულისხმობს. „იმის გათვალისწინებით, რომ სამშვიდობო ძალების პირობების შეცვლა უნდა განხორციელდეს ორივე მხარესთან შეთანხმებით, შტაბის გადატანასთან დაკავშირებით ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება ფასდება, როგორც ადრინდელი მოლაპარაკებების უხეში დარღვევა" – ხაზგასმით აღნიშნავს ვ.არძინბა. (იპრინდა)

# აჭარა განხეთქილების ვაშლი არ გახდება!

საქართველოს ბოლო 1988–96 წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში აჭარას განსაკუთრებული ადგილი უკავია. დროის ამ მონაკვეთზე მუდამ იძებნებოდა რაღაც მოტივი, რის საფუძველზეც აჭარა მოვლენათა ეპიცენტრში ექცეოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ვინც აჭარის ავტონომია ჩაიფიქრა, წინასწარ ყველაფერი კარგადაც გათვალა. დღესაც აჭარის ავტონომიური მექანიზმი – შეყოვნებული მოქმედების ეს ნაღმი, მუშაობს და მუშაობს საქართველოს, ქართველი ხალხის ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად, განსაკუთრებით კი ბოლო ხანებში, ბევრი რამ ამ ნაღმის, როგორც ერთგვარი სცენარითა და შიშით მიმდინარეობს.

ასე იყო 1988 წელს, როცა თბილისიდან ბათუმში ჩასული მომიტინგეები დაარბიეს და გვარიანადაც დეზინფორმაციები გაავრცელეს. ამასთან, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ხელისუფლების ინსპირირებული ეს დარბევები აჭარის მოსახლეობის განწყობის გამოხატულებად გასაღებულიყო...

ასე იყო 1991 წლის აპრილში, როცა ბათუმში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ანტიქართული მიტინგი მოსახლეობის საერთო განწყობილებად წარმოადგინეს...

ასე იყო ბოლო 2–3 წლის განმავლობაში, როცა იკრიბებოდა აჭარის ე.წ. აქტივი და აღვივებდა ფსიქოზს აჭარაში სხვადასხვა სამხედრო ძალების შეჭრის საფრთხეზე, ხოლო საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდებოდა დეზინფორმაცია – საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან იქ ჩასახლებულ აჭარელთა თათრობის ნიშნით გამოძევებაზე.

მადლობა ღმერთს, ეს პანიკა და დეზინფორმაცია აჭარელ კაცს გულთან არ მიუტანია და გამომდინარე აქედან, ამასთან დაკავშირებით არც რაიმე ექსცესი მომხდარა.

რა სიტუაციაა ამ მხრივ დღეისათვის? ერთი მხრივ, გამუდმებული პროპაგანდაა იმისა, რომ მთელი საქართველო ინგრევა, ხოლო აჭარაში აღმშენებლობაა, რაც თურმე გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევთ და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა აჭარაც ქაოსმა მოიცვას. მეორე მხრივ კი შეშფოთებას გამოთქვამენ აჭარის ხელისუფლების პოლიტიკის გამო, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს, მის მთლიანობას.

ეს ტენდენცია ნათლად გამჟღავნდა საქართველოს პარლამენტის ბოლო სხდომებზე – თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ) კანონპროექტის განხილვისას. ამ საკითხის განხილვისას შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: თეზ-ის იდეის ინიციატორები – ფრაქცია „აღორძინების" წევრები და მათი მომხრეები, თეზ-ის შემოღებით ოქროს მთებს გვპირდებიან, მასში მხოლოდ ეკონომიკურ შინაარსს დებენ (ან გულუბრყვილოდ ან სულაც შეგნებულად) და მასში პოლიტიკურს ვერაფერს ხედავენ, მოწინააღმდეგეები კი (მმართველი პოლიტიკური პარტია, აღმასრულებელი ხელისუფლება) თეზ-ის კანონპროექტს მოუმზადებლადაც მიიჩნევენ და საშიშადაც – მასში საქართველოს ახალი დაქუცმაცების საფუძველს ხედავენ და გამომდინარე ამ მოვლენას პოლიტიკასთან აკავშირებენ.

აქვე ვისაც ეხება ეს, იმათ გასაგონად ვიტყვი, რომ თავის დროზე, თეზ-ის შემოღების იდეაზე როგორც ქვეყნისათვის საშიშ მოვლენაზე, მხოლოდ გაზეთმა „საქართველომ" აიმაღლა ხმა, ამ საკითხს რამდენიმე წერილი მიუძღვნა და სპეციალისტებსაც მოუწოდა რედაქციამ წინადადებებისათვის, მაგრამ ამაოდ. ამჟამად კი, როცა აჭარის ხელისუფლებამ თავისი ფრაქციის მეშვეობით ლამის ულტიმატუმის დონეზე დააყენა ეს საკითხი



პარლამენტში, მხოლოდ მაშინ დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა რგოლმა. ერთობ დაგვიანებით ხომ არა? და ამ კანონპროექტის შეჩერება ძვირად ხომ არ დაუჯდება ქვეყნის ხელისუფლებას? მაგრამ, რახან თეზ-ის ავკარგიანობის საკითხი საპარლამენტო დისკუსიის საგანი გახდა, იმედი ვიქონიოთ იმისა, რომ საბოლოოდ ისეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, როგორიც ქვეყანას სჭირდება. ასე რომ, თეზ-ის პრობლემა ხელისუფლებას დავუტოვოთ, ჩვენ კი სხვა მხრივ მივიპყროთ მკითხველის ყურადღება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეზ-ის მომხრეები მისი შემოღებით ოქროს მთებს გვპირდებიან, ხოლო თეზ-ზე უარის შემთხვევაში ლაპარაკია სულ მოკლე დროში მილიარდობით (!!) დაკარგულ ამერიკულ დოლარზე, რომლის 90% თურმე ქვეყნის საერთო ბიუჯეტში შევიდოდა (ურიგო არ იქნება იმის გახსენება, თუ რამდენი პროცენტი შედიოდა ქვეყნის ბიუჯეტში სარფის საბაჟოდან). ეს ხომ ჩვენი გაპარტახებული ეკონომიკის შემხედვარე გამაოგნებელი ციფრებია. მერედა, ვინ ამბობს ამაზე უარს? ვინ და ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა და აღმასრულებელი ხელისუფლება! დავიჯეროთ ყველაფერი ეს, თუ რაღაც დიდ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე? მთელი კატეგორიულობით ვიტყვით: თუკი თეზის შემოღება მილიარდობით დოლარის მოგებას მოგვცემს და ამას ვინმე შეეწინააღმდეგება, მაშინ საკითხი სულ სიბრტყეში უნდა დადგეს. არადა, ასეთი რამ დაუჯერებელია. რაც არ უნდა არ ერკვეოდეს პარლამენტის წევრი ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი ეკონომიკაში, თუ სხვა ფაქტორი არა, ასეთ დიდ სიკეთეზე უარს არ იტყვის.

სხვა რამ ხომ არაა აქ საქმე? იქნებ სწორედ საკითხის პოლიტიკური დატვირთვაა ამ შემთხვევაში აქ მთავარი, რაზედაც დუმან თეზ-ის მომხრეები და როცა შეახსენებენ ამის თაობაზე, კატეგორიულად უარყოფენ ამას. როცა ზატულინების, ჟირინოვსკების, სელეზნიოვებისა და სხვათა აჭარის თემით შეზავებულ აშკარად ანტიქართულ „აზრებზე" არც აჭარის ხელისუფლება, არც ფრაქცია „აღორძინება" და არც მისი აქტივისტები [illegible]
[illegible]
[illegible]
მაშინ ძალაუნებურად იფიქრებ, რომ აქ საქმე გვაქვს დიდ პოლიტიკურ თამაშთან (ან კიდევ ეკონომიკა, მით უმეტეს, თავისუფალი ზონები, როდის აქეთ ჩამოსცილდა და გამოეყო პოლიტიკას?). ასე რომ, რაც არ უნდა გამოიდოს თავი „აღორძინების" ზოგიერთმა აქტივისტმა, თეზ-ს პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მათი დუმილი გარეშე ძალების მხრიდან აჭარის ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების მცდელობაზე, ამის უტყუარი დასტურია.

ისიც უნდა ითქვას, რომ „აღორძინების" ზოგიერთი წევრი აჭარაზე ქომაგობის საბაბით პრესას ადანაშაულებს და მას კომუნისტურდროინდელად მიიჩნევს.

მაგრამ მათ რატომღაც სულ არ აღელვებთ ის ამბავი, რომ რა ძალის ინტერესებსაც იცავენ ისინი, სწორედ იქ აქვს ადგილი კომუნისტური განწყობის რემინესცენციას და საბჭოთა წყობილების რეციდივებს (ყველაფერი კეთდება ერთხმად, დამკვრელურად, ბელადის „ბრძნული" მითითების შესაბამისად, ლაღობს მოჩვენებითობა და ა.შ.). ამის შემდეგ ბუნებრივად, ხსნის კითხვა: რა კანონითა და რა მორალით ამგვარი საყვედურები?

შევეჩვიეთ, რომ ვიღაცისათვის ნამღვილი საქართველო აჭარით იწყება, აჭარიდან უნდა დაიწყოს საქართველოს გამთლიანება და აღორძინება და ა.შ. ვიღაცისთვის კი აჭარის ავტონომია შეყოვნებული მოქმედების ნაღმია და დღე-დღეზე ამოქმედდება. ამ დროს კი ერთი მუჭა მმართველი კლანი თავისი მიზნებისათვის მარჯვედ იყენებს და სპეკულირებს აჭარისა და მისი მოსახლეობის სახელით. თეზ-ის იდეაც სწორედ ამ კლანის მოგდებულია და იგი რომ კატასტროფულად საშიში არ იყოს, ასეთ წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა პარლამენტში.

რაც მთავარია, თუკი თეზ-ი მართლა სასარგებლო რამაა, ეს იქნება რეგიონის ხელმძღვანელისა და ჩვენი ეკონომისტების კარგად გამოანგარიშებული ეკონომიკური ფაქტორი, და არა მხოლოდ აჭარის მაგალითზე: თუკი თეზ-ი გამართლებული არაა, მაშინ ყველაფერი პირიქით იქნება. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში არაფერ შუაშია აჭარა და მისი მოსახლეობა. მაშინ რას ნიშნავს პრესაში გამოქვეყნებული ბევრი წერილი, საიდანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თეზ-ის იდეა აჭარული მოვლენაა.

დამაფიქრებელი ისაა, რომ თეზ-თან დაკავშირებით აჭარის ფაქტორის (ამ შემთხვევაში არ იგულისხმება გეოგრაფიული ტერიტორია) ყოვლად უსაფუძვლო და უადგილო „ამოწევამ" შეიძლება უარყოფითი როლი შეასრულოს ჩვენს ცნობიერებაზე. კერძოდ, თეზ-ის შემოღება მისაღები თუ მიუღებელი ეკონომიკური ექსპერიმენტი – აჭარის სახელით შეიძლება აჭარის მოსახლეობის საერთო განწყობად იქნას აღქმული.

იმედია, რომ როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ისე განსაკუთრებით საინფორმაციო საშუალებები ყველაფერს გააკეთებენ ამ ეჭვების გასაფანტავად. მაგრამ თუკი ვინმე ყველაფერს ამას შეგნებულად და გარკვეული მიზნით აკეთებს, შევახსენებთ: დრომ არაერთხელ დაადასტურა, რომ აჭარა საქართველოს ერთიანობის დასარღვევად, არეულობის შესატანად, მოკლედ – განხეთქილების ვაშლად არ გამოდგება!

მიხეილ მახარ[illegible]



XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# გალაკტიონ ტაბიძე

## ბიოგრაფია

ნოდარ გრიგალაშვილი

გაგრძელება (დასაწყისი „საქართველო“ №68)

### დიდი გზის დასაწყისი

ამ თავის თავისა და ოჯახის „უსარგებლო“ კაცმა 1915 წლამდე სხვა მრავალ ბრწყინვალე ლექსთა შორის შექმნა ისეთი შედევრები, როგორიცაა „გურიის მთები“, „რაც უფრო შორს ხარ“, „უსიყვარულოდ“, „მესაფლავე“, „ელეგია“, „ჰამლეტის ქნარით“, „მე და ღამე“, „წუხელ ღამით ქარი დაჰქროდა“, „სიბერე“ და სხვა. ამ ლექსებით გალაკტიონმა თავი დააღწია შეგირდობის ხანას (შემოქმედებითი გზის დასაწყისში იგი განიცდიდა ბარათაშვილის, ილიას, აკაკის და ახალგაზრდა იოსებ გრიშაშვილის გავლენას) და ერთბაშად მოგვევლინა, როგორც თვითმყოფადი, საკუთარი ხმის მქონე ორიგინალური პოეტი. 1914 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი. ვასილ ტაბიძის ობლობაში გაზრდილი, გზადაბნეული და ღარიბღატაკი შვილი პოეზიის ქვეყანაში აღიარებულ პოეტად იქცა. მისი გამოჩენა სალიტერატურო საღამოებზე უკვე იმას ნიშნავდა, რომ საღამო ანშლაგით ჩატარდებოდა. 24–25 წლის გალაქტიონის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ერთი ფაქტი. იმხანად დიდად ცნობილ პოეტს იროდიონ ევდოშვილს ქუთაისში სალიტერატურო საღამოს გამართვა მოუწადინებია. მატერიალურად შეჭირვებულ ევდოშვილს საღამოს შემოსავლით ცოტა სულის მოთქმა სურდა. მსმენელთა მიზიდვის მიზნით, მას სწორედ ახალგაზრდა გალაკტიონისთვის მიუმართავს თხოვნით, – მონაწილეობა მიეღო მის საღამოში.

– ჩემი სახელით ძალიან საეჭვოა რამე შემოსავალი მიიღოს საღამომ, – თავმდაბლურად უთქვამს ახალგაზრდა პოეტს.

იროდიონი კი თავისას არ იშლიდა. ახალგაზრდობა შენით გაგიჟებულია, თეატრი გადაიჭედებაო.

ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება 1915 წელს ახალგაზრდა გალაკტიონისაგან რედაქციისადმი მიწერილი ერთი განცხადების გაცნობაც:

„ამას წინათ შემთხვევით ერთ პატარა დაბაში მოხვდი და ქუჩებში გაკრულ აფიშებზე ჩემის თვალით წავიკითხე: გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს მწერლებიო – ჩამოთვლილი იყო რამდენიმე მწერალი და მათ შორის მეც. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მე არავისთვის პირობა არ მქონდა მიცემული საღამოში მონაწილეობის შესახებ. ეს იყო მხოლოდ შანტაჟი. საღამოს ინკოგნიტოდ დავესწარი და გავიგონე, თუ როგორ გამოაცხადა ერთმა ჩემთვის უცნობმა პირმა: გალაკტიონ ტაბიძე ავადმყოფობის გამო საღამოში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. ეს ხდება პროვინციაში. მოგეხსენებათ, ქუთაისშიდაც ხშირად იმართება საღამოები და ძალიან ძვირად ნახავთ აფიშებს, რომელზედაც ჩემი სახელი და გვარი არ იყოს გამოცხადებული. ყოველ ამგვარ აფიშის წაკითხვის შემდეგ მე სახტად ვრჩები: არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის და ისე კი მაცხადებენ. ეს არის მხოლოდ შანტაჟი.

ამჟამადაც ხელში მიჭირავს ქუთათური გაზეთ „სამშობლოს“ ერთი ნომერი, რომელშიდაც სწერია: გაიმართება გრიშაშვილის საღამო, მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს პირნიო და იმათ შორის მეც“.

კაცი, რომლის სახელისა და გვარის წარწერაც სალიტერატურო საღამოზე ხალხმრავლობის გარანტია იყო, კვლავ ობოლი და მიუსაფარი, კვლავ მარტოსული და ულარიბესი დაეხეტებოდა ქუთაისის ქუჩებში. თუმცა, ამ პერიოდისათვის მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხაც მოხდა. მისივე ლექსის სტრიქონით თუ ვიტყვით, „მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“. 1912 წელს ქუთაისში გაიცნობს და დაუახლოვდება ოლია ოკუჯავას, რომელსაც 1916 წლის აგვისტოში თავის ბედი დაუკავშირა. მაგრამ აქ სიტყვა „დაკავშირებას“ მხოლოდ სულიერი მიმართებით თუ ვიტყვით, რადგან ამ ორმა, ერთმანეთზე უგონოდ შეყვარებულმა ადამიანმა ვერ მოახერხა ნამდვილ ცოლქმრულ უღელში შებმა. ოლღა ოკუჯავების ცნობილი რევოლუციური ოჯახიდან იყო და, თავადაც რევოლუციონერს, ოჯახისათვის არ ეცალა. გალაკტიონი კი საერთოდ არ იყო ოჯახისათვის დაბადებული კაცი. ისინი გამუდმებით შორიდან წერენ ერთმანეთს წერილებს, სასიყვარულო მოკითხვის ბარათებს, ერთ ჭერქვეშ ყოფნას კი იშვიათად ახერხებენ. რომ არ შემოგვრჩენოდა გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას პირადი მიმოწერა, ეჭვიც კი შეეპარებოდა ადამიანს მათ ნამდვილსა და წრფელ სიყვარულში, იმდენად ხშირად იყვნენ ისინი ერთმანეთს მოცილებულნი. მაგრამ ვინც მათ სატრფიალო ეპისტოლეებს წაიკითხავს, ცოცხლად წარმოუდგება ორი მგზნებარე სულის თავდავიწყებამდე მისული ლტოლვა და სიყვარული ერთურთისადმი.



განგების ნებით ყველაფერი ალბათ მართლაც ცაში წყდება. გალაკტიონი ოჯახის კაცად, მზრუნველ მეუღლედ და მამად არ იყო დაბადებული. მეუღლეც ასეთივე უცნაური შეხვდა...

დრო მიდიოდა. ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ქუთაისი პოეტების სატახტო იქცა. გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე გამსახურდია, ლელი ჯაფარიძე, თეოფილე ხუსკივაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დავით მებუკე, აკაკი სვანი (მარგიანი) და სხვანი და სხვანი. ეს ახალგაზრდები ამშვენებდნენ იმდროინდელი ქუთაისის სალიტერატურო საღამოებს, აწყობდნენ ორგიებს კაფეებსა და რესტორნებში. დრო და დრო მათთან ერთადაა ნაოფიცრალი დავით კლდიაშვილი. ქუთაისის არცთუ იშვიათი სტუმარია მოხუცი აკაკი.

მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ცხოვრება გამოიცვალა. „ამ ომის დასაწყისიც ძალიან კარგად მახსოვს – იგონებდა შემდეგში გალაკტიონი, – მე და ტიციანი სოფელში ვიყავით (ტიციან ტაბიძე და გალაკტიონი ბიძაშვილები იყვნენ) ჭყვიშში. ერთხელ ტირიფების ქვეშ წამოწოლილი ვსაუბრობდით. საქონელს ვაძოვებდით.

– რა წელიწადი დადგა, რანაირი წელი ერგო ჩემს პირველ წიგნს – ვეუბნები ტიციანს. – გამოვიდა თუ არა წიგნი, ომიც გამოცხადდა. ბედი არ ჰქონია, ტიტია ჩემო, ბედი. ტიტია სავსებით იზიარებდა ჩემს მწუხარებას. მე ვფიქრობდი ამ წიგნით ქვეყნის აფეთქებას. აქ კი იაპონია შეუდგა ჩემს მაგიერ ქვეყნის აფეთქებას. არა, შევცდი, იაპონია კი არა (იაპონია წინათ იყო), გერმანია, ამხანაგებო, გერმანია... დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ჩვენ ყველანი დავიშალენით. ილია ბახტაძემ მიაშურა თავის ხონს. ია ეკალაძემ ცოტა ხანს დაჰყო და მერე მოსკოვში შემხვდა. ნემო ქუთაისს შერჩა, თეოფილე ხუსკივაძეც, კონსტანტინე გამსახურდია საზღვარგარეთ გაემგზავრა, ჯაჯუ თბილისში გადმოვიდა, ტიტიამ მოსკოვისაკენ უტია, ვეშაპელმაც. ევდოშვილი ტფილისს დაუბრუნდა, ვარლამ რუხაძემ გაჰყიდა თავისი ხის საწყობი. დავით კლდიაშვილი სიმონეთს დაუბრუნდა, ლადო დარჩიაშვილი ტფილისს, ლელიკო ჯაფარიძე და დავით მებუკე სადღაც წავიდნენ, არ ვიცი, აკაკი სვანმა, სვანეთს, ალბათ, მიაშურა. დავრჩით მე და ოლია ოკუჯავა. ჩვენ სულ მალე მოსკოვისაკენ გავწიეთ...“

### „წესრიგის“ მტერი

1916 წლის აგვისტოში გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა მოსკოვს გაემგზავრნენ. გალაკტიონი იმავე წლის ნოემბერში მობრუნდა უკან. სულ რამდენიმე თვეში კი ახალმა ამბავმა მსოფლიო შესძრა. დაემხო რომანოვების სამასწლიანი ბატონობა. გალაკტიონს, ისე როგორც ნებისმიერ ქართველ პატრიოტს, რომანოვების ყოფნაარყოფნის საკითხი იმდენად აღელვებდა, რამდენადაც მათი ბატონობის არეალი საქართველოზეც ვრცელდებოდა და თუ მთელმა საქართველომ აღფრთოვანებით მიიღო პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშა – „მთავრობაძე სკანჩალსია ვ პეტროგრადე“, ეს იმიტომ, რომ თვითმპყრობელობის დამხობა სამშობლოს განთავისუფლების წინაპირობად იყო აღქმული.

სხვათაშორის, თებერვლის რევოლუციამ გალაკტიონი ერთი ფათერაკიდანაც იხსნა. რევოლუციის წინა დღეებში მისი დაპატიმრების შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ბრძანება ჰქონდა გაცემული. აი, რა მიზეზით:

ქუთაისის ერთ-ერთ რესტორანში სხედან გალაკტიონ ტაბიძე და ბეგლარ ახოსპირელი. პოეტი იგონებს:

– ბატონებო, თქვენ წესრიგს არღვევთ, – მოგვმართა უცნობმა.

– მტერი ვარ ყოველგვარი წესრიგის, – უპასუხა ახოსპირელმა, თან ამ ჩია კაცმა არსენას პათოსით შესძახა: – „მაგ შენსა აპელატებზე შენით აიღე ხელია“ და უცნობ პოლიციელს სწვდა აპელატებში, – მტერი ისეთი წესრიგის, როგორსაც თქვენ იცავთ, ბატონო პოლიციელო.

პოლიციელმა იმ წამში რატომღაც გაცლა არჩია. ჩვენ კი ავყევით ბაღს ზევით ქუჩას, რომელსაც სახელად პოლიციისავე ქუჩა ერქვა, და სადაც მოთავსებული იყო თვით პოლიცმეისტერის სამმართველო. გავუთანასწორდით თუ არა სამმართველოს, უეცრად, თითქო მიწიდან ამოძვრაო, ჩვენს წინ აღიმართა ისევ ის წყეული პოლიციელი. სინათლეზე შევამჩნიეთ, რომ ცალი აპელატი აგლეჯილი ჰქონდა. თურმე მეორე მხრიდან კვალდაკვალ მოგვდევდა.

– ოჰო, მიცანით? ეხლა კი მობრძანდით ჩემთან სამმართველოში...

– მიცანითო? როგორ ვერ გიცანით. ეს იყო ლავრენტი მახარაძე, პოლიცმეისტერი, რისხვა დასავლეთ საქართველოსი...

იმ ღამეს იქ გვამყოფეს, დილით მახარაძემ გუბერნატორთან წარსადგენად შეადგინა ოქმი და ჩვენ გაგვანთავისუფლა.

დავუსახელეთ ფიქტიური ბინები და იმ დღიდან აღარ გამოვჩენილვართ.

ველით, რითი გათავდება საქმე.

საგუბერნიო სამმართველოში ერთი პატიოსანი კაცი მსახურობდა, დადიანი. სწორედ მას მიუვიდა ის ჩვენი ოქმი გუბერნატორთან წარსადგენად. „ეს რა მოსვლია ჩვენს გალაკტიონს“, – უფიქრია და მახარაძის ოქმი, რომელშიდაც წერია, ალაჰმა უწყის, რა ამბები არა, ამოუდვია უამრავი ქაღალდის ქვეშ, რათა დაგვიანებოდა საქმეს და შემდეგ, შესაძლებელია, სულ მივიწყებას მისცემოდა.

ერთ დღეს დადიანს იბარებს გუბერნატორი. ეხლა ჩემთან პოლიცმეისტერი იყოო, მას ჩემთან დასკვნისათვის ოქმი გამოუგზავნია, მე კი ის ოქმი თვალითაც არ მინახავსო. ეხლავე საქმეს გადავხედავო, უპასუხნია დადიანს. მეტი რომ საქმეს აღარ ეშველებოდა, აიღო ის ოქმი და წარუდგინა გუბერნატორს. მან კიდევ ზედ წააწერა რეზოლუცია ჩემისა და ახოსპირელის დაპატიმრების შესახებ.

დადიანმა იმწამსშივე ეტლი დაიქირავა, მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილა, თუ როგორ იყო საქმე. მაშინ ბინად გადავედი ერთ მეგობარ მხატვართან და ქუჩაზე დღე არ ვჩნდებოდი, ასევე მოიქცა ახოსპირელიც. მაგრამ მალე მოხდა ისეთი მოვლენა, რომელმაც არათუ ასეთ უბრალო, ბევრ მომავალ ხიფათს გადაგვარჩინა: ეს იყო რევოლუცია!“

იმ დღეს, როცა ქუთათურებმა თებერვლის რევოლუციის შესახებ შეიტყვეს, პირველ რიგში ქუთაისის პოლიცმეისტერი, ლავრენტი მახარაძე დაიჭირეს და ევგენი გეგეჭკორი რომ არა, მისგან შეწუხებული ხალხი მას ასო-ასო აქნიდა. ასე გადარჩა გალაკტიონიც ორკვირიან პატიმრობას.

### დახვრეტილი თავისუფლება

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე კვლავ მოსკოვს მიემგზავრება. აქ ეგულებოდა მეუღლე და მოსკოვისაკენ ეწეოდა აგრეთვე უმაღლესი განათლების მიღების წყურვილი. ჯერ კიდევ 1915 წლის 25 მაისს, გალაკტიონს თხოვნით მიუმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის – დახმარებოდნენ მატერიალურად, რათა შესძლებოდა სწავლის გაგრძელება.

„საშინელ მატერიალურ გაჭირვებას ჩვენში ბევრი ახალგაზრდა მწერალი განიცდის, – მიმართავდა საზოგადოების მესვეურებს გალაკტიონი – მაგრამ სულ სხვაგვარია ჩემი მდგომარეობა. მე შვილი ვარ ულარიბესი მშობლების, ვერავითარ დახმარებას ოჯახიდან ვერ ვიღებ, არც მეგობრები, არც დამხმარეები მყავს ისეთი, რომ შემეძლოს თავი დავაღწიო ამ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ვიმყოფები. ჩემი ბავშვობიდანვე გულში ჩანერგილი სურვილი – უმაღლესი განათლება მიმეღო, სურვილადვე დარჩა და საუკეთესო იმედები სილარიბემ სრულიად გამინადგურა. ერთადერთი გზა, რომლის მიღწევასთან სრულიად გამოიცვლება ჩემი ცხოვრება, ეს არის სტიპენდიის დანიშვნა ჩემთვის ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებისაგან თავისუფალია ათი სტიპენდია. ამით მე შეძლება მომეცემა შევიძინო განათლება მოსკოვში, ბანიავსკის უნივერსიტეტში. უმორჩილესად გთხოვთ, ქშწკგ-ს ქუთაისის განყოფილებას შევიდეს ჩემს მდგომარეობაში და მიშუამდგომლოს თბილისის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

მე დარწმუნებული ვარ ქუთაისის წკ საზოგადოების განყოფილება ყურადღებას მოაქცევს ჩემს თხოვნას და უარს არ მეტყვის დახმარებაზე“.

ნუ დავივიწყებთ, რომ ეს განცხადება 1915 წელს არის დაწერილი. მისი ავტორი უკვე საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული პოეტია, მაგრამ დახეთ ბედის ირონიას, მაინცდამაინც გალაკტიონის თხოვნამ არ გაამართლა. ბევრ ახალგაზრდას გაუმართა ხელი წერა-კითხვის თუ სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა, მრავალი ქართველი აღზარდა რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ცალკეულ მეცენატთა ხარჯით. გალაკტიონი ამ მხრივაც უსასოო აღმოჩნდა.

არიან ადამიანები, რომელთაც სულ პატარა მიზნის მისაღწევადაც კი გრძელზე გრძელი გზის გავლა უწევთ. ზოგს ადვილად გამოსდის, ზოგნი კი მხოლოდ ტანჯვით, მხოლოდ ნერვების წყვეტით მიიწევენ წინ ნაბიჯ-ნაბიჯ. გალაკტიონის ცხოვრება სწორედ ასე აეწყო. ერთადერთი, რაც მისთვის ყველაზე უხვად გამოიმეტა განგებამ, ნიჭი იყო, ნიჭი და სულიერი სიწმინდე. პარადოქსია, მაგრამ პირველიცა და მეორეც იმ სახელმწიფოში, რომელშიც გალაკტიონმა გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრება, ხელისშემშლელი პირობა იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი არსებობისათვის.

ასე გახლდათ თუ ისე, გალაკტიონი მაინც ჩადის მოსკოვში და იქ სარეჟისორო კურსებს ამთავრებს. ესეც პოეტის ახირებულ სურვილად უნდა ჩავთვალოთ. ძნელია გალაკტიონ ტაბიძის წარმოდგენა რეჟისორის ამპლუაში. აკი ერთი დღეც არ უმუშავია მას თავისი პროფესიის მიხედვით.

ოქტომბრის რევოლუციის მომდევნო დღეებში პოეტი მოსკოვიდან პეტროგრადს ჩადის. მან თავისი თვალით იხილა ის მოვლენები, რაც რუსეთში ხდებოდა. 1918 წელს კი, უკან დაბრუნებისას, თვალწინ გადაეშალა არაადამიანური სისასტიკის შედეგები. რუსეთისა და უკრაინის ტრამალები დაფენილია გვამებით. გადამწვარია დაბა-სოფლები, ქალაქები. მძვინვარე სამოქალაქო ომს ნაცარ-ტუტად უქცევია ყოველი. გალაკტიონ ტაბიძე შეძრწუნებულია შედეგით, ნამოქმედარით, რევოლუციის სისასტიკით. პოეტი წერს ლექსს „არასოდეს ბედი არ ყოფილა ასე ცბიერი“, რომლის უკანასკნელი სტრიქონებით, რომ აღარაფერი ვთქვათ სათაურზე, განაჩენი აქვს გამოტანილი ბოლშევიკური რევოლუციის მოპოვებული „თავისუფლების“ პარადოქსალურ ბუნებას.

„გაჰქრა, დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება

თავისუფლება, დახვრეტილი თავისუფლება“.

და „დახვრეტილი თავისუფლების“ ქვეყნიდან გალაკტიონი თავის სამშობლოს მოაშურებს, სადაც თავისუფლება ჯერ კიდევ არ არის დახვრეტილი...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „იელოვას“ სახელით შემოსეულ „მისიონერთა“ გამო

*ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის დეგრადაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ზნეობრივი ორიენტირების სრულ აღრევასაც შეუწყო ხელი. საზოგადოება რამდენიმე ნაწილად გაიყო პოლიტიკური და სოციალური ქარტეხილების გამო. ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ადამიანები არა მარტო ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად, არამედ ამ ბოლო ხანებში უკვე აღმსარებლობის მიხედვითაც არიან ურთიერთწაკიდებულნი.*

*ქრისტიანული რელიგია სწორედ ქართველთა სულიერი გამთლიანების საწინდარი იყო ოდითგან. დღეს კი რა ხდება? ოჯახ-ოჯახ დაძრწიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ათასი ჯურის სექტანტები, რომელნიც კიდევ უფრო მეტად უმღვრევენ გონებას ჩვენს ისედაც აფორიაქებულ თანამოქალაქეებს. განსაკუთრებით აქტიურობენ ე.წ. „იელოველები“, რომელნიც ლამის არის ფანჯრებიდან შეუხტნენ ხალხს სახლებში, რათა „ჭეშმარიტ“ რელიგიას აზიარონ. ისინი უარყოფენ ქრისტეს, როგორც ღმერთს, უარყოფენ იმ ძირითად რიტუალებს, რომელსაც მართლმადიდებელი ქართველი ათადან და ბაბადან მოყოლებული თაყვანს სცემდა.*

*ვინ არიან იელოველები, საიდან მოდიან, რა სურთ, რა მიზნები აქვთ? კითხვა-პასუხის საშუალებით ამ საკითხებზე მსჯელობს არქიმანდრიტი რაფაელი და იგი ქრისტესმიერი სიყვარულით ამხელს შეცდენილ თანამოძმეთ.*

*ჩვენი გაზეთი თანმიმდევრულად დასტამბავს არქიმანდრიტ რაფაელის შესანიშნავ შრომას და ვფიქრობთ, გაუთვითცნობიერებელ თანამოქალაქეთ ბევრ რამეზე აეხილებათ თვალი.*

შეკითხვა 1. რას წარმოადგენს „იელოვას მოწმეების“ სექტა?

პასუხი: ეს არის რელიგიური საზოგადოება, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში დააარსა ჩარლზ რასელმა პენსილვანიაში და რომელმაც შემდგომ მრავალგზის განიცადა ცვლილებები და რეფორმები, როგორც თავისი დამაარსებლის, ისე რასელის მიმდევართა მიერ.

შეკითხვა: 2. ვინ არის რასელი?

პასუხი: მდიდარი ვაჭრის ვაჟიშვილი, თვითონაც მზა ტანსაცმლის გაყიდვით იყო დაკავებული და ამ საქმით დიდი ქონებაც მოიხვეჭა, რომელიც თავისი სწავლების გავრცელებასა და პოპულარიზაციას მოახმარა. რელიგიური მოღვაწეობის დასაწყისში რასელი უკიდურესი პროტესტანტიზმის მიმდევარი იყო, მაგრამ შემდგომში ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა შოტლანდიელ პურიტანებთან (კონგრეგაციონალისტებთან) და ახალი მოძღვრების ავტორი გახდა, რომელიც გნოსტიციზმის, არიოზის წვალების, ანტიტრინატარიზმის, აგრეთვე იუდაური ჰილიაზმისა და თალმუდიზმის უცნაური შენაერთია. მაგრამ თავისი წინამორბედი თეოსოფიური სპეკულაციებისაგან განსხვავებით, რასელის მსოფლმხედველობა მატერიალისტურ ხასიათს ატარებდა, საუკუნო ცხოვრება მას ნივთიერ-ფიზიკურ ფორმებში წარმოედგინა ძველ სადუკეველთა მსგავსად, იგი უარყოფდა სულის უკვდავებას და ფსიქიკურ ცხოვრებას სხეულის ფუნქციად მიიჩნევდა. ამიტომ რასელის მოძღვრებას რელიგიური მატერიალიზმი შეიძლება ვუწოდოთ.

*შეკითხვა 3. რატომ ეწოდება სექტას „იელოვას მოწმეები“?*

პასუხი: „იელოვა“ ერთ-ერთი საღმრთო სახელია, რომელსაც ბიბლია გვიმხელს. „იელოვა“ ებრაულად ნიშნავს „მყოფს“, ანუ იმას, რასაც თავის თავში აქვს მყოფობა. ქართულად იგი ასე შეიძლება ითარგმნოს: „მე ვარ, რომელი ვარ“, ანდა „მე ვარ მყოფი“. ღმერთი თავის თავს იელოვას უწოდებს სინას მთის თეოფანიის (ღმერთის გამოცხადების) დროს, მოსე წინასწარმეტყველთან საუბარში (იხ. გამოსლვ. 3,14).

*შეკითხვა 4. არის თუ არა ბიბლიაში სხვა საღმრთო სახელები, თუ „იელოვა“ ერთადერთი საღმრთო სახელია?*

პასუხი: არის აი, ზოგიერთი მათგანი: „ელოჰიმ“ – მძლავრი, „ელი“ – ძლიერი, „ადონა“ – მეუფე, „საბაოთი“ – ზეციური მხედრობის წინამძღოლი, „შეხანა – თანყოფნა, განათება. სახარებაში ქრისტე ზეციერ მამას უწოდებს ღმერთს. ბერძნულ ბიბლიაში „ელოჰიმი“ „თეოს“-ად ითარგმნება, სლავურში „Бог“-ად, ქართულში „ღმერთად“. სიტყვა „იელოვა“ ბერძნულში გადმოდის როგორც „კირიოს“, სლავურში და ქართულში, უკვე ბერძნულის შესატყვისად – როგორც „Бог“ და „უფალი“. უნდა ითქვას, რომ ბიბლიის ბერძნული და არამეული თარგმანები იესო ქრისტეს შობამდე შესრულდა და, როგორც ამას არქეოლოგიური გათხრებიც მოწმობს, მხოლოდ პალესტინის ფარგლებს გარეთ კი არა, თვით პალესტინაშიც იყო გავრცელებული, მაგრამ საღმრთო წერილისა და იელოვას სახელების თარგმანებს ორთოდოქს იუდეველთა პროტესტი არ გამოუწვევია.

*შეკითხვა 5. არიან თუ არა „იელოვას მოწმეები“ იელოვას ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები?*

პასუხი: არა, რადგანაც ისინი უარყოფენ იესო ქრისტეს ღმრთაებრიობას, იმას, რომ იგი არის თანასწორი მამისა. თუ ქრისტე არ არის მამის თანასწორი, მაშინ მას არ ძალუძს ფლობდეს ჭეშმარიტებას მთელი თავისი სისავსით და, შესაბამისად, არ ძალუძს გადასცეს ადამიანებს ღმერთის სრულყოფილი ცნობა, რომელიც სახარებაშია დამარხული. ისინი არ ითვალისწინებენ წმიდა წერილს, რომლის თანახმადაც ვინც ძეს უარყოფს, ის მამასაც უარყოფს (ლუკა, 10, 16; 1 იოანე, 2,23), არ ითვალისწინებენ იესო ქრისტეს მიერ მოციქულ ფილიპესადმი ნათქვამ სიტყვებსაც: „რომელმან მიხილა მე, იხილა მამა ჩემი“ (იოანე 14,9), არც იმას, რომ იესო ქრისტე იუდეველებთან საუბარში თავის თავს „იელოვას“ უწოდებდა: „პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ“ (იოანე 8,58), „მე ვარ“, ანუ იელოვა.

*შეკითხვა 6. რა ეწოდებოდა თავიდან „იელოვას მოწმეების“ სექტას?*

პასუხი: თავიდან – „ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება“, შემდეგ – „ბიბლიის სერიოზულ მკვლევართა საერთაშორისო გაერთიანება“ და მხოლოდ რასელის სიკვდილის შემდეგ, 1931 წელს, კოლუმბიის ყრილობაზე, დამტკიცდა სახელწოდება „იელოვას მოწმეები“. 1938 წელს დასრულდა საზოგადოების ადმინისტრაციული აპარატის ორგანიზაცია, რომლის სათავეში დგას პრეზიდენტი შეუზღუდავი ხელისუფლებით, მას მოსდევს 15 თანაშემწე; მთელი მსოფლიო მისიონერულ ზონებად არის დაყოფილი. ცენტრალური სამმართველო ბრუკლინში მდებარეობს. ყოველი თემი რეგულარულად უნდა აუწყებდეს ცენტრს ჩატარებული სამუშაოს შედეგებს. ეს ანგარიშები გასაიდუმლოებულია. მათში მითითებულია ორგანიზაციები და პირები, რომლებიც ხელს უშლიან იელოველების განვითარებას და მოცემულია ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციები. ცენტრალური აპარატი დაახლოებით ორი ათასი კაცისაგან შედგება. ამ ანგარიშებს დაწვრილებით სწავლობენ ცენტრში და იძლევიან. საპასუხო ინსტრუქციებს, რომლებიც იელოველთა თემებისათვის სავალდებულოა. იელოველებს მსოფლიო სატანის მიერ დაპყრობილ ტერიტორიად წარმოუდგენიათ, რომელიც მათ უნდა გამოიხსნან, ასე რომ მათი ცენტრი ბრუკლინში გენერალური შტაბის ფუნქციებს ასრულებს.

*შეკითხვა 7. რა მთავარ მეთოდებს ხმარობენ იელოველები თავიანთი მოძღვრების გასავრცელებლად?*

პასუხი: პირველი – მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მაქსიმალურ გამოყენებას და საგამომცემლო საქმიანობის ფართოდ გაშლას. იელოველების ლიტერატურა უზარმაზარი ტირაჟებით იბეჭდება პრაქტიკულად ყველა ევროპულ და ბევრ აზიურ ენაზე, აგრეთვე ზოგიერთ აფრიკულ ენაზე (ახლახან 164 ენა იყო მითითებული. მაგრამ მათი რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს). გამოცემებს თან ახლავს სარეკლამო ხასიათის ფერადი ილუსტრაციები, რომლებიც უბრალო ხალხზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ხშირად იყენებენ გროტესკს, თითქმის კარიკატურას. ამ ნახატებში იელოვას მოწმეები პატიოსან, პირმცინარ მშრომელებად არიან წარმოდგენილნი, მათი მოწინააღმდეგეები კი – გარყვნილების ბუდეების მკვიდრებად, ზნეობრივად და ფიზიკურად გადაგვარებულ ადამიანებად, რომლებსაც პირქუში და ბოროტი გამომეტყველება აქვთ. რასელი ვაჭრის ოჯახში იზრდებოდა და რეკლამის ხელოვნება კარგად ჰქონდა ათვისებული. მეორე – ქადაგება, სწავლება, რომელიც თემის ყველა წევრისათვის სავალდებულოა. ყოველი მათგანი გარკვეულ დროს (დაახლოებით 200 საათს თვეში) უნდა უთმობდეს ე.წ. „მინდვრის სამუშაოებს“ – იელოვური ლიტერატურის გავრცელებას და ამ სწავლების შესახებ საუბარს, რომლის დროსაც ფართოდ გამოიყენება ფსიქიკური ძალადობის მეთოდები. იელოველები უცნობ სახლებში შედიან, ადამიანებს სთავაზობენ თავიანთ ლიტერატურას და, თუ საჭიროა, დახმარებასაც. თუ კაცი ყოყმანს დაიწყებს, ცოტა ხანში კიდევ ერთხელ მიაკითხავენ, ხოლო თუ ინტერესი შეატყვეს, რამდენიმე მასწავლებელსაც მიუჩენენ, რომლებიც რეგულარულად მოინახულებენ მას და გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

ყველაფრის უარყოფა, რაც იელოველთა სწავლებას არ ეთანხმება, საზოგადოებრივი სტრუქტურების მკაცრი დაგმობა, მსოფლიოს ორ ბანაკად: „ღმრთის შვილებად“ და „სატანის შვილებად“ დაყოფა, უარყოფაზე აგებული სწავლების ანარქისტული ხასიათი, სწავლებისა, რომელიც ხშირად წყევლასა და ანათემებსაც არ ერიდება – ყოველივე ეს საზოგადოების ერთ ნაწილს, საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილოსა და საზოგადოებაზე გაბოროტებულს, ძალიან მოსწონს, მეორე ნაწილს კი თრგუნავს და იმონებს. შეიძლება ითქვას, რომ იელოველების სექტა გამუდმებულ ბრძოლაშია თავის მოწინააღმდეგებთან.

იელოველები დიდ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ფლობენ. ისინი ტრაბახობენ, რომ „საგუშაგო კოშკი“ (მათი მთავარი ჟურნალი) უფრო დიდი ტირაჟით გამოდის, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა გამოცემა. ამჟამად დედამიწის ზურგზე რამოდენიმე მილიონი იელოველია, დაახლოებით 25 ათასი თემი, რომლებიც 200 ქვეყანაშია გაფანტული (ეს ცნობები ცოტა არ იყოს მოძველებულია, მაგრამ უფრო ახალი არ გაგვაჩნია). თემები 10 ბიუროს ექვემდებარებიან, ისინი კი – ბრუკლინის მთავარ ბიუროს.

*შეკითხვა 8. კიდევ რა საშუალებებს იყენებენ იელოველები?*

პასუხი: მრავალ ქვეყანაში შესაბამისი ორგანიზაციებისაგან ყიდულობენ სატელევიზიო გადაცემების დროს, იღებენ კინოფილმებს, აწყობენ შეხვედრებს სტადიონებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც უფასოდ არიგებენ დიდძალ ლიტერატურას.

გაგრძელება იქნება

# ტესტი პედაგოგთა ატესტაციისთვის

## ქართული ენა და ლიტერატურა

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №67,68

32. რომელი ფრაზით მთავრდება კ.გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ (ეპილოგამდე)?
1. „ვაი, საშოსა ჩემსა, რამეთუ გშობე“
2. „არც სიკვდილში ჰქონია მეფე გიორგის ბედი“
3. „დიდხანს ებრძოდა წიწამურის ველზე მაღალი ხოხობი ღამეს“
4. „და ეს ამბავიც ავაზის დღეს მომხდარა“
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

33. რომელი ლიტერატურული დაჯგუფების წევრი იყო მიხეილ ჯავახიშვილი?
1. „არიფიონის“
2. „ცისფერყანწელების“
3. „პროლეტმწერლების“
4. „აკადემიური მწერლობის ასოციაციის“
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

34. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიდი ფილოსოფოსი მოღვაწეობდა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ აშენებულ მონასტერში?
1. პეტრე იბერიელი
2. ეფრემ მცირე
3. იოანე პეტრიწი
4. არსენ იყალთოელი
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

35. რა არის ლექციონარი?
1. საეკლესიო საკითხავების წიგნი
2. ორგანიზაცია, რომელიც განაგებს საჯარო ლექციების მოწყობის საქმეს
3. სალექსიკონო ერთეული, რომელშიც გაერთიანებულია სიტყვის სხვადასხვა პარადიგმული ფორმა
4. ჩანაწერი რაიმე სასწავლო საგნის მიხედვით
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

36. რა არის ტრიოლეტი?
1. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი
2. მუსიკალური ნაწარმოები სამი მომღერლის ან სამი საკრავისათვის
3. ინდუისტური რელიგიის სამება
4. ლექსის ფორმა
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

37. რა არის „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებ პლანეტათა თანამედროვე სახელები: ზუალი, მუშთარი, მარიხი, ასპიროზი, ოტარიდი (პასუხი შეარჩიეთ კითხვაში მოცემული თანმიმდევრობით)?
1. მთვარე, მარსი, მერკური, ვენერა, იუპიტერი
2. მერკური, ვენერა, მზე, იუპიტერი, სატურნი
3. სატურნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკური
4. მარსი, სატურნი, იუპიტერი, ვენერა, მერკური
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

38. რომელი კათოლიკური ორდენის წევრი იყო სულხან-საბა ორბელიანი?
1. იეზუიტების ორდენის
2. ბენედიქტის ორდენის
3. წმ.მარტინის ორდენის
4. წმ.ბასილის ორდენის
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

39. რომელ ნაწარმოებშია ნაწყვეტი: „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკვდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გვამსა...“
1. „შუშანიკის წამებაში“
2. „აბო ტფილელის წამებაში“
3. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“
4. „ევსტათი მცხეთელის წამებაში“
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

40. ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ პირველ ვარიანტს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა:
1. „აღსდეგ, უფალო ღმერთო ჩემო, და აღმართე ხელი შენი, და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად“
2. „რა ვარდმან მისი ყვავილი გააჴმოს დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.
3. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“
4. „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ“
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

41. ვინ არის ავტორი ციტატისა: „ლუარსაბ თათქარიძის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ცხოვრების საჭიროების მიხედვით შექმნილს ტიპს ვეღარა ვხედავთ... სხვა ახალს ტიპს აღარ აუჩრჩქოლებია ჩვენი საზოგადოება, ღრმად აღარ ჩაუფიქრებია თავის ყოფა-მდგომარეობაზე“?
1. კიტა აბაშიძე
2. გერონტი ქიქოძე
3. ვაჟა-ფშაველა
4. აკაკი წერეთელი
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

42. რა ერქვა თქმულებას, რომელიც საფუძვლად დაედო ალ.ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“ –
1. „ჩაძინებული“
2. „შვილის მკვლელი“
3. „ხევისბერის განაჩენი“
4. „გუგუნაი“
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

43. ვის ეკუთვნის სტრიქონი: „ვესიის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“?
1. გალაკტიონ ტაბიძეს
2. ტიციან ტაბიძეს
3. იოსებ გრიშაშვილს
4. გიორგი ლეონიძეს
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

44. ვინ არის ავტორი სტრიქონებისა:

„ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი, ქარი, ქარი...
შენ მაჩვენე მზის სიახლე
და ზღაპრების მხარე“...

1. გალაკტიონ ტაბიძე
2. ტიციან ტაბიძე
3. კოტე მაყაშვილი
4. კონსტანტინე გამსახურდია
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

45. ვინ უწოდა დავით კლდიაშვილის კალამს „მთელს ზღვისპირეთში ერთადერთი და განუმეორებელი“?
1. გალაკტიონ ტაბიძემ
2. სერგო კლდიაშვილმა
3. ნიკო ლორთქიფანიძემ
4. ლეო ქიაჩელმა
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

46. ვის ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „ადამიანია ყველა საგნის საზომი“?
1. სოკრატეს
2. პლატონს
3. არისტოტელეს
4. პროტაგორას
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

47. რა არის ტელეოლოგია?
1. რელიგიური აღმსარებლობა
2. ლიტერატურული მიმდინარეობა
3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა
4. მოძღვრება, რომლის მიხედვით ყოველი განვითარება არის წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელება
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

48. რა არის მეტაფრასტიკა?
1. სახოტბო რიტორიკული სიტყვა
2. მწყემსური ცხოვრების ამსახველი ნაწარმოები
3. უსიტყვო წარმოდგენა
4. ღვინისა და ლხინის ღმერთის დღესასწაული ძველ საბერძნეთსა და რომში
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

# იუმორის გვერდი — წუთისოფლის სანაცვლო

* * *

მამა: შვილო, რას მეტყოდი, სადილს ისეთივე ჭუჭყიანი ხელებით რომ შევექცეოდე, როგორიც შენ გაქვს?

შვილი: მგონი, იმდენი ზრდილობა მექნებოდა, რომ ჭამის დროს არაფერი მეთქვა!

* * *

– მამი, მთვრალი ადამიანი რას გრძნობს?

– ხედავ, შვილო, იმ ორ ძროხას? როცა ადამიანი მთვრალია, ორი ოთხად ეჩვენება.

– რას ამბობ, მამი, იქ ხომ ერთი



ძროხაა?!

* * *.

– მაგალითები არასწორად გაქვს ამოხსნილი, ხვალ მშობლებს მოიყვან სკოლაში!

– მშობლები რად გინდათ, მას.წ.?! ვერც იმათ ამოხსნეს!

* * *

– მამიკო, მეგობარს რომ უჭირდეს, როგორ უნდა მოვიქცე?

– რადა გაჭირვებულებს უმეგობრდები, შვილო! შეძლებული ცოტაა?

* * *

ზაზა დედამ საბავშვო ბაღის რუსულ ჯგუფში მიიყვანა, ზაზამ რუსული არ იცოდა. საღამოს ზაზა ეუბნება დედას:

– დედიკო, ყველა ბავშვი მამას ტიროდა, მარტო მე ვტიროდი დედას!

* * *

– ბატონო პროფესორო, დავიღუპე, დისერტაცია მომპარეს!

– მაგაზე უკეთესი არაფერი შევიდეს მის ოჯახში!

* * *

სვანს არ მოეწონა სასადილოს ულუფა, განსაკუთრებით – სარფიანად დაჭრილი პური და მებუფეტეს ჰკითხა, რამდენი გაქვს ხელფასიო?!

– ორმოცი მანეთი!

– წამოდი ჩემთან და 300 მანეთს მოგცემ!

– კი, მაგრამ, შენთან რა უნდა გავაკეთო?!

– ყავარს ვხდი და, შენ პურის ჭრაზე გეტყობა, კარგი სპეციალისტი დადგები!

* * *

წვერმოშვებულია და, როგორც ეტყობა, გადაღლილიც. დიდხანს ჩაჰკირკიტებს მოზრდილი ტომის სარჩევს, ნერვიულობს.

– რა არის, კაცო, რას ეძებ?!

– „ბრიტვა" ჩავდე ამ ოხერში და ველარ მიპოვია! გვერდიც არ დამახსომდა!..



* * *

– რა გაწუხებთ გეთაყვა?

– რა ვიცი, ექიმო, ზოგი კაცი ფულს და ოქროს აგროვებს. მე კი კენჭების და მარილების მეტი არაფერი მიგროვდება!

* * *

– ყველაზე ძალიან რა მოგეწონა, ბიჭო, საზღვარგარეთ?

– ბარები, ზოსიმე ბიძია.

– აბა, აქ რა ღმერთი გიწყრება, ბარს და თოხს დასანახავად რომ ვერ იტან?!

* * *

– რატომ არ მოიყვანე უფროსთან წვეულებაზე შენი ლამაზი ცოლი?

– რა ვიცი, კაცო, თუ რამე მოეწონა, სულ „გავცვალოთ, გავცვალოთო", იძახის.

* * *

ერთმა მდიდარმა კაცმა თუთიყუში იყიდა, ლაპარაკი ეცოდინება და გამართობსო. მაგრამ, რასაც კი ჰკითხავდნენ, თუთიყუში ყველაფერს „დიახო" უპასუხებდა.

პატრონმა ჰკითხა:

– მაგის მეტი არაფერი იციო?!

– „დიახო", – უთხრა თუთიყუშმა.

– სულელი, ვიყავ, შენ რომ გიყიდეო!

– „დიახო", – დაემოწმა თუთიყუშიც.

* * *

მასპინძელმა მახარიას სუფრა გაუშალა. მახარია ყოველი სადღეგრძელოს დალევის შემდეგ სასმისს • მასპინძელს უშვერს და ეუბნება:

– ჩამიყარე, გენაცვალე, ჩამიყარე!

ღვინის მორიგი „ჩაყრის" შემდეგ მოთმინებადაკარგული მასპინძელი მახარიას ეუბნება:

– ღვინო სითხეა და მასზე „ჩამიყარე" კი არა, „დამისხის" უნდა თქვა!

– ვიცი მე მაგი, მაგრამ ღვინო კი არა, შაქარია და ჩამიყარე ერთი, თუ კაცი ხარ, ჩამიყარე! – თავისი არ მოიშალა მახარიამ.

* * *

– თუ თქვენ სმას თავს დაანებებთ, განყოფილების უფროსად დაგნიშნავთ.

– ნუ სწუხდებით, როცა მთვრალი ვარ, თავი ისე მაქვს წარმოდგენილი, თითქოს გენერალური დირექტორი ვიყო.

* * *

სტიუარდესამ მღვდელს თვითმფრინავში კონიაკი მიართვა.

– რა სიმაღლეზე ვიმფრინავთ? – იკითხა ღვთისმსახურმა.

– ათი ათას მეტრზე.

– ძალიან ახლოს ვყოფილვარ შეფთან და სჯობს, თავი შევიკავო!

* * *

საავადმყოფოში თავგატეხილი პაციენტი მიიყვანეს. ექთანმა ანკეტის შევსება დაიწყო.

– ცოლიანი ხართ?

– არა, საავტომობილო კატასტროფაში მოვხვდი.

* * *

– რა აზრისა ხართ თქვენს უფროსზე?

– ჩვენს შორის დარჩეს და, სანამ არ მოხსნიან, მანამდე ვერაფერს გეტყვით!

* * *

ტროცკი ამბობს:

– სტალინთან კამათი იოლი რამაა:

მე მას ციტატებით ველაპარაკები, ის მე, გადაგასახლებო, მემუქრება.

* * *

პეტრე პირველს ჩიბუხი დაეკარგა.

ის ეძახის დოლგორუკოვს, რომელიც მაშინვე მოახსენებს:

– გასაგებია, გასაგები! სენატორებს დედა უნდა ვუტიროთ!

ცოტა ხნის შემდეგ პეტრემ ჩიბუხი თავისი კამზოლის ჯიბეში იპოვნა და ისევ დაუძახა დოლგორუკოვს:

– ჩიბუხი ვიპოვეთ!

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლთმის დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



– გვიანია! – მიუგო დოლგორუკოვმა. – უკვე ყველამ აღიარა ჩიბუხის აწაპნვა!

* * *

საერთო კრება კოლმეურნეობაში დღის წესრიგში ორი საკითხი დგას:

1. ფარდულის შეკეთება
2. კომუნიზმის აშენება

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობს:

– ფიცრები არა გვაქვს, პირდაპირ მეორე საკითხზე გადავიდეთ.

* * *

პესიმისტი ამბობს:

– უარესობა არ იქნება.

ოპტიმისტი კი: –

– არა, იქნება! არა, იქნება!

* * *

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– გამოუვალი ვითარებიდან გამოსავალი არსებობს?

– სოფლის მეურნეობის საკითხებზე პასუხს არ ვიძლევით.

* * *

– ჯარისკაცო დრაპენ, როგორ მიესალმებით ლეიტენანტს?

– თუ გერმანელია, ერთ ხელს ავწევ, თუ რუსი – ორივეს.

* * *

პენსიონერი ქალი ქაშაყის საყიდლად მაღაზიაში მივიდა. იმსიგრძე რიგი დახვდა, რომ გადაწყვიტა, ვახშმად კარტოფილს ვიკმარებო. დამზრალი კარტოფილის რიგში საათნახევარს მოუწია დგომა და ცხვირწინ გაუთავდა კარტოფილი. სასოწარკვეთილმა ხელი ჩაიქნია, პურს მაინც ვიყიდიო – იფიქრა, სხფუნთუშეში უამრავი ხალხი იცდიდა. როდის მოიტანდნენ პურს, თვით გამყიდველმაც არ იცოდა, პენსიონერ ქალს გუნება მთლად წაუხდა და ღვინის მაღაზიაში შეიარა, ბოლომისაგან ცოტას გადავკრავ მაინცო. რიგში ორი საათი დგომა უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან ზუსტად შვიდზე მაღაზია დაკეტეს. აცრემლებული ქალი შინ მივიდა, კარადის უჯრიდან აკანკალებული ხელით ამოიღო გარდაცვლილი ქმრის ნადავლი პისტოლეტი და მტკიცე ნაბიჯით გაეშურა კრემლისკენ. იმათი დახოცვა სურდა, ვინაც იგი ამ დღეში ჩააგდო.

კრემლის კარიბჭის გარეთ უშველებელი რიგის კუდი მოჩანდა.

* * *

ბოლშევიკები სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილზე:

– ნაბიჯი – წინ, ორი ნაბიჯი – უკან! ნაბიჯი – წინ. ორი ნაბიჯი – უკან!

* * *

რომის პაპზე თავდასხმის შემდეგ დასავლეთში არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა დაიწყო. საბჭოთა კავშირისთვის ჩრდილის მიმყენებელი ხმების ალსაკვეთად ჩვენმა მთავრობამ თავდასხმის გარემოებათა გამომძიებელი სპეციალური კომისია შექმნა. ფოტო, კინო და ვიდეომასალების გაცნობის, მოწმეების დაკითხვისა და ყველა მონაცემების საგულდაგულო ანალიზის შემდეგ კომისიის წევრებმა დაასკვნეს: რომის პაპმა პირველმა ისროლა.

* * *

საბჭოური ნათლობა:

– რუსეთის ყოფილ იმპერიას რსფსრ დაარქვეს იმის გამო, რომ ერთნაირად წაეკითხათ ლენინს (მარცხნიდან მარჯვნივ) და ტროცკის (მარჯვნიდან მარცხნივ).

* * *

ბალტიის ქვეყნებში ხალხი ოპტიმისტებად, პესიმისტებად და რეალისტებად იყოფა. ოპტიმისტები სწავლობენ ადგილობრივ ენას. პესიმისტები სწავლობენ ციმბირის რუკას, რეალისტები კი – კალაშნიკოვის ავტომატს.

* * *

საბავშვო ბაღში აღმზრდელი ეკითხება ბალღებს:

– აბა, ბავშვებო, რომელია ყველაზე საშინელი მხეცი ამქვეყნად?

ბავშვებმა ერთხმად იყვირეს:

– КПСС!

აღმზრდელი დაიბნა: „რატომ?"

– რადიოთი და ტელევიზიით სულ ამას გაიძახიან: „Съест КПСС! ", „Съест КПСС! "

* * *

სმოლნის შენობაში საშინელი რახარუხი გაისმა.

– რა მოხდა? – შეშფოთდა ამხანაგი ლენინი.

– ისეთი არაფერი, ილიჩ! კიბეზე რკინისებრი ფელიქს ედმუნდის ძე წაგვექცა.

* * *

პოლიტბიუროს სხდომაზე ლეონიდ ილიჩმა ნაწერი ამოიღო და წაიკითხა:

– ამხანაგებო! მე მინდა დავაყენო საკითხი იმის გამო, რომ პოლიტბიუროს წევრებს აშკარად განუვითარდათ ბებრული სკლეროზი. გუშინ ამხანაგ გრეჩკოს დაკრძალვაზე... – ლეონიდ ილიჩმა ნაწერს თავი ანება და დარბაზი მოათვალიერა, – მე მას აქ რატომღაც ვერ ვხედავ! – როცა მუსიკა დაუკრეს, ჩემს მეტმა ვერავინ მოისაზრეთ, რომ მანდილოსანი საცეკვაოდ გამოგეწვიათ.

* * *

სოციალისტური სკლეროზი: დგას წინკარში პენსიონერი, იყურება თავის ცარიელ ჩანთაში და ფიქრობს – ნეტა, მაღაზიიდან უკვე დავბრუნდი, თუ ჯერ არც წავსულვარ?



## ეს საინტერესოა

# გარდაცვლილთა სულები ზოგჯერ ბრუნდებიან

1821 წლის ზაფხულის მიწურულს, ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ, მის ნაცვლად საფრანგეთის ტახტზე ასული ლუდოვიკო XVIII (ბურბონი) საღამოს თავის საწოლში იწვა და როგორღაც ვერ იძინებდა. მისი ფიქრები, როგორც იგი შემდეგში იგონებდა, ნაპოლეონს დასტრიალებდა თავს. სანთლები მკრთალად ანათებდნენ, მაგიდაზე იდო საფრანგეთის მეფის გვირგვინი და მარშალ მარმონის საქორწინო კონტრაქტი, რომელზეც ხელისმოწერა ნაპოლეონმა სამხედრო მოქმედების გამო ვერ მოასწრო. და აი, ახლა კონტრაქტი დევს ლუდოვიკოს წინაშე ღვთისმშობლის ტაძრის საათმა შუაღამისა დარეკა. ჩათავდა თუ არა უკანასკნელი აკორდი საათის ზარისა, გაიღო კარი საწოლი ოთახისა, რომელიც ლუდოვიკომ თვითონ ჩაკეტა, და შემოვიდა... ნაპოლეონი. მივიდა მაგიდასთან, დაიდგა თავზე გვირგვინი, აიღო საქორწინო კონტრაქტი, კალამი... ამ დროს ლუდოვიკოს გული შეუღონდა. როცა გონს მოვიდა, უკვე დილა იყო. იმპერატორმა დაათვალიერა კარის გასაღები, ყველაფერი წესრიგში იყო, შემდეგ აიღო ხელში კონტრაქტი. იგი ხელმოწერილი იყო ნაპოლეონის მიერ. შემოწმებით დადასტურებულ იქნა, რომ ხელმოწერა ნაპოლეონისა იყო. ეს დოკუმენტი დღესაც ინახება პარიზში, სამეფო მუზეუმში. ის, რომ ნაპოლეონმა კონტრაქტს ხელი მოაწერა სიკვდილის შემდეგ, დაადასტურა თვით ლუდოვიკო XVIII-მ და ორმა მსახურმა, რომელთაც დაინახეს გარდაცვლილი იმპერატორის მოჩვენება.

* * *

ლომონოსოვი ბრუნდებოდა სამშობლოში გემით და ღამით უჩვეულოდ ცხადად ნახა სიზმარში თავისი მამა, რომელიც გემის დაღუპვის შემდეგ კუნძულზე გაერიყა წყალს.

სანკტ-პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ მან თავის ნათესავებში მოიკითხა მამის ამბავი და გაიგო, რომ ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე იგი წასულა სათევზაოდ და აღარ დაბრუნებულა. შეძრწუნებულმა ლომონოსოვმა გადაწყვიტა, წასულიყო, მოეძებნა მამის ცხედარი და ქრისტიანულად დაეკრძალა. მიუხედავად დიდი სურვილისა, მან ეს ვერ შეძლო და ძმას დაავალა ამის შესრულება. ხოლმოგორელი მეთევზეები წავიდნენ მითითებულ კუნძულზე, იპოვეს ცხედარი და დაკრძალეს წესისამებრ.

* * *

ვალია კ. სამი შვილის დედამ, დაკარგა რა ქმარი, გადაწყვიტა, გადასულიყო საცხოვრებლად სოფელში. იქ იპოვა ერთი ცარიელი სახლი და დაბინავდა მასში. დაიწყო მუშაობა ფერმაში. ერთხელ ადგა ჩვეულებრივად ადრე და გაოცდა, როცა სამზარეულოში იპოვა ხნიერი ქალი. კითხვაზე, თუ რა უნდა მას და აქ როგორ მოხვდა, მან უპასუხა: „ვიცი გიჭირს, ბავშვებითა ხარ, ყველაფერში მოგეხმარები, მხოლოდ ილოცე ღვთის მონა ფაინასათვის, შეუკვეთე მის მოსახსენებლად ლიტურგია და სხვა სადღესასწაულო დღეებშიც ნუ დაივიწყებ. ამ სახლის სარდაფში დგას ძველი კასრი, რომელსაც ორმაგი ძირი აქვს. რასაც იქ იპოვი, შენი იყოს“. ამ სიტყვების შემდეგ ქალი გაქრა. ვალიამ შიშისაგან იკივლა. ქალმა მართლა იპოვა კასრში დიდძალი ფული. მეზობლებმა უთხრეს ვალიას, რომ ამ სახლში მართლა ცხოვრობდა ერთი უკარება ქალი ფაინა, უნათესაო და უმეგობრო. არავინ იცოდა, რით ცხოვრობდა. სიკვდილის დროსაც არავინ დასწრებია და შემდეგ ვინ მოიხსენებდა.

სანამ საჩუქარს დახარჯავდა, ვალია კ. გაიქცა სოფლის მღვდელთან, რათა გამოეკითხა, როდის და როგორ შეიძლებოდა საწყალი მოხუცი ფაინას მოხსენიება.

## კაიფვორდი



თარაზულად: 6. დასაკრავი – რომელსაც ინსტრუქტაჟი მიღებული აქვს, თანაც „პოლიციელია“ (რუს.კავშ.); 8. მერისა და დიახას წარმოსახვით გავლებული ხაზი, რომელიც პოლუსებს აერთებს; 10. „ოროქლისა“ და ბოლისგან აგებული გეომეტრიული ფიგურა (რუს.კავშ.); 11. სამკურნალო „შიშია“; 13. ებრაელთა „ბინიანი“ ღვთის მსახური; 15. საღეჭი რეზინით მოსარჩენი „ავადმყოფობა“; 16. დამნაშავის გამსამართლებელი, მცირე ზომის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები; 17. „პირის საპარსი“ მდინარე რუსეთში; 1;. „რინგზე“ გაკეთებული „ტატუიროვკა“; 20. დამტკიცებული თეორემა, რომელმაც ბევრი „იომა“; 22. „გაორებული“ ბოსტნეული; 25. სარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც მხოლოდ „იქ“ უნდა დავუკრათ (რუს.კავშ.); 26. „ვაზაში“ დამწყვდეული მტაცებელი ცხოველი; 31. გივი „ბერიკაშვილის“ საყვარელი სანახაობა; 34. „გასაგვერადებლად“ ვარგისი ქართული ღვინო; 35. თუთუნი, რომელიც „რეტს“ გასხამს; 36. „ინით“ შეღებილი მონღოლთა სარდლები; 37. „სურით“ სატარებელი ავადმყოფობა.

შვეულად: 1. „ონის“ პარკში მოწყობილი სანახაობა: კარუსელი, საქანელა, ტირი და ა.შ.; 2. „კუს“ დასასვენებელი ადგილი; 3. ქართველი ყაჩაღი, რომელსაც საფრანგეთის მდინარესთან ჰქონდა „კავშირი“; 4. დოსტოევსკის „სულელი“ ნაწარმოები; 5. ცომის მოსაზელი „დაცლილი“ ხის ჭურჭელი; 6. „რიალური“ იმპერია, ფეხზე ჩასაცმელად კარგია; 7. იტალიელი მომღერალი, რომელსაც ძალიან უყვარს თბილისური ლაპარაკი; 8. წყნეთელი ქალი, რომელსაც სულში „ინდიელთა ტომი“ ჩაუსახლდა; 9. ქალთა მონასტრის „გლავარი“; 12. „მარკაზე“ გაყიდული გერმანელი მწერალი; 13. ცხენი, რომელიც დონ-კიხოტმა „ნანტში“ იყიდა; 14. „სიმებიანი“ ვაშა (იტალ.კავშ.); 19. ლიტერატურული ჟანრი, ჩვენში მამაკაცს ჰქვია; 21. ფრანგული არაყი, რომელიც არ არის „მანიაკი; 23. „სტალინის“ მსგავსი ჰოლივუდის მსახიობი; 24. მთები რუსეთში, სადაც „რალი“ იმართება; 27. „ნალით“ დაჭედილი სამხედრო ალჭურვილობის საწყობი; 28. „ლიას“ ქალაქი ესპანეთში; 29. უფერო და უსუნო გაზი, რომელიც „ონში“ არ აღმოუჩენიათ (რუს.კავშ.); 30. ნარკოტიკი, რომელსაც „შიშით“ იღებენ ინდური კანაფისგან; 31. მთის ხალხი იქ ეშურება, ზოგიერთს კი ზედ ხელს ვერ მოაკიდინებ; 32. ეგვიპტურ მითოლოგიაში ნაყოფიერების ქალღმერთი, რომელიც ვერავინ ვერ „მიიზიდა“; 33. „დაგუდული“ თმის სახვევი.

## კროსვორდი



თარაზულად: 3. ავტორ-შემსრულებელი პოპულარული ქართული სიმღერისა „ჯერ ქალებს გვესროლეთ!“ 7. ჯომოლუნგმას მეორე სახელწოდება; 9. საბუთი – სადმე შესვლის უფლების დამადასტურებელი (სასაუბრო სიტყვა); 11. სიტყვა, რომლითაც მოიხსენიებენ XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში იძულებით გადასახლებული მოსახლეობის წარმომადგენელს; 13. ბანქო; 14. ხსნარის შეყვანა სხეულის ღრუებსა და ქსოვილებში; 17. ფანჯრის ფარდა; 18. ესპანელი კომპოზიტორი და პიანისტი; 19. სხვისი წვალებით მიღებული სიამოვნება; 20. ქართული ხალხური თეატრის სახეობა – მასობრივი სანახაობა; 22. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 23. საკონდიტრო ნაწარმი; 25. ვულკანური წყარო; 26. პარფიუმერიაში ხმარებული მცენარე; 27. ე. შენგელაიას პოპულარული ფილმის პერსონაჟი; 30. მაგარი სასმელი; 33. სანადირო (მეძებარი) ძაღლი; 35. მაღლად დადგმული დიდი გროვა თივისა, ძნისა, და ა.შ.; 36. ვულკანური ქარი; 37. უცხოური სამკურნალო პრეპარატი (მეორე ასოს შემდეგ დეფისი პირობითად მოცილებულია); 38. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი; 39. მდინარე რუსეთში.

შვეულად: 1. გერმანიის პოლიტიკური მოღვაწე; 2. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი ცხოველი; 4. „ქლეხის“ სინონიმი ქართლში, მთიულეთში; 5. ცის სფეროს წრე, რომელზეც ხდება მზის ხილული მოძრაობა მთელი წლის მანძილზე; 6. თოჯინა; 8. მონაწილე ფილმისა „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“; 9. ინდონეზიის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; 10. სიტყვა, რომლითაც უცნაური, უარყოფითი თვისებების მქონე ადამიანი მოიხსენიება; 12. ერთ-ერთი, ვინც ჰიტლერულ გერმანიაში ამუშავებდა ატომურ ბომბს „ბირთვული პროექტის“ თანახმად; 15. ჩრდილოეთ ჩინეთის (იჩქერიის) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, უზენაესი საბჭოს წევრი; 16. რაიმე იდეის თავგამოდებული დამცველი; 21. თანავარსკვლავედი ცის ეკვატორთან; 23. გზის გადამკეტი მოწყობილობა; 24. ბ.ელცინის ქალაქგარეთა რეზიდენცია; 2;. ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი, გრავიორი; 29. ქალაქი შვეიცარიაში; 31. ფიცის გამტეხი, შერცხვენილი; 32. უდიდესი და უმაღლესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 33. თავად-აზნაურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა წოდებულება ინგლისში და იაპონიაში; 34. ქალაქის თავი, ქალაქის უფროსი ძველად, სპარსეთში.

გ.გასიტაშვილი

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. პეშტი; 4. იფქლი; 8. ჰარაკირი; 9. ინტუიცია; 11. ოლქი; 12. გერინგი; 13. იუნკერი; 14. დიაგონალი; 17. ადსორბცია; 20. ტრანსკრიფცია; 23. ესკამილიო; 26. მარიონეტი; 28. ინფანტი; 30. მიტინგი; 31. კაბა; 32. ალბუმინი; 33. აისბერგი; 34. ჭრაქი; 35. იმიჯი.

შვეულად: 2. შრიფტი; 3. ილინოისი; 4. ილინიჩნა; 5. ქიტონი; 6. პრესინგი; 7. აცტეკები; 8. ჰაფეზი; 10. აბორტი; 15. ნერბი; 16. ლენცი; 18. დაფნა; 19. ოფისი; 21. „სალაღობო“; 22. ინტიმური; 24. ხინემა; 25. ოფშკვითი; 26. მუხავატი; 27. ტაგანი; 29. ინდირა; 30. მინსკი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444